

1000 50 000.

ЭКСПО

№ 16-17

ზინაარსი:

1. სანდრო შანშიაშვილი: ჰიში გლეხს
2. ** მჭედელი, პროზა ფრანგულიდან
3. ვ. გაფრანდაშვილი: ლექსი
4. სერგო ვორგაძე: — ნ. ბარათაშვილის ახლად აღმოჩენილი ლექსები.
5. ვ. გაფრანდაშვილი: წერილი ნ. ბარათაშვილზე.
6. არსენა, ხალხური პოემა დასურათებული
7. ალ. არსენიშვილი: ანატოლ ფრანსი, ა. ჩ—ისა.
8. ნიორკის სურათები, ა. ა—სი.
9. კოლაუ ნადირაძე: ლექსი.
10. ხოხიკო მელაქიშვილი: ა. ყაზბეგის გამო მოგონება.
11. სიმღერა ერთგულ ამხანაგებზე, — იანჭერისა.
12. პაოლო ბუციის ლექსები
13. სპარტაკო—ტანთვარჯიშის მიმოხილვა.
14. ჩ—ი: წერილი მხატვარ ვანო ხოჯაბეგოვზე.
15. ბაკუნინი: — „Necis“-ის შესახებ.
16. შ. რადიანი: ერთეულ დუამელ
17. ბიბლიოგრაფია: შ. ჯაფარიშვილი.
18. ნახატები: ალ. ციმაკურიძის, ვ. ხოჯაბეგოვის, აპოლ. ქუთათელაძის, დ. ქუთათელაძის, პორტრეტები და ილიუსტრაციები.

მოქალაქენო!

თქვენი ჯანფრთალოვის ინტერესი მოითხოვს, სვათი მსოფლოდ მ. ლალიძის

საუბათოსო, ხალომწარად მოგზადებული ხილულის სამაჟრანალო წყლები, რომელიც მომზადებულია უმაღლესი-ნამდვილი ბუნებრივი, რჩეული, ხილე-ულობის წვერისაგან, ნადული წყლით უარესად გაუმჯობესებულ აპარატზე.

შეადგე და დასელოვებუდი სპეციალისტების შედამგი შედამხეგელობათ, ამიტომ ლალიძის წყლი სრულად შენებელაა ჯანმრთელობისთვის და თანე გეპო და სენი საპური ქვეს.

მ. ლალიძის ფირმა მასუხისმგებელია მხოლოდ იმ წყლის კეთილდირსებაში, რო-

მელიც შედენილი იქნება მირდაპირ ქარხნიდან ანუ მის საკუთარს განყოფილებიდან-

სტუდენტ

რ-76.

148

ოკავიერიული სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი

განცხადების ტარიფი:

ხელის მოწერა:

რედაქციის მისამართი:

რუსთაველის პრ. № 22.

კონტორის მისამართი:

განათლების სამ. კომისარიატი. საბელ-
გამი, ლორის-მელიქის ქ. № 5.
მიიღება ხელის მოწერა დილის 8—2 ს.

ერთი გვრდი 100 მ.
ნახევარი გვრდი 50 მ.
მეოთხედი გვრდი . . . 35 მ.

საპი თვით 1 მან. 20 კ.
ერთი თვით — 40 კ.
ცალკე ნაშეი ავსტან . . . 20 კ.

№ 16 17

პარასკევი, 25 ივლისი 1924 წ.

№ 16 17



3. ა. ლუწარაშვილი
ტფილისში ყოფნის გამო.



ჰიმნი გლეხს.

1

მიწას ჩაჰყვია თავის გულმკერდით.
 იმავ მიწიდან მძლავრის ფესვები ის აღმოზარდილა!
 ვინ ამოუდგა სუსტი მას გვერდით? —
 ყველა დაჯაბნა, ყველა დაჩდილა!
 უღელს გაუწევს მას მხოლოდ მსგავსი, მისივე ფანდი.
 როგორც ფოლადი, ის შავარია!
 მას რა გაუძლებს, თუ კი საქმეში ხელი დარია?
 ხალისიანობს მხნე, მუდამ მარდი.
 არა აქვს დარდი!

გამოსულია, ვით ლორი, ბოლში!
 როს სამუშაოდ მინდვრად ის გადის,
 ემზადებოდეს თითქოს დიდს ომში.
 სახეს, ცხრაკეცად დანაოჭებულს, ჩამოსდის ოფლი.
 —მიწა! ხარ ჩემი, მაინც არ მყოფნი!
 არა ჩერდება. მზე აჭერს მის ტანს!
 სანამ სვეს კიდევ ერთს არ გაიტანს,
 ის არ გაუშვებს ხელიდან ბარს...
 კიდევ ამოჰვლეჯს ეკალს და ნარს.
 ის სამუშაოს არ უშინდება!

როს შესვამს ნაწილს? როს მოშვიდება?
 აუშფოთებლად სცემს, სჩეხავს კორახს.
 კლერტს გადაისვრის მიწის პარაზიტს.
 გულში ღიღინებს: გაფიცებთ ოჯახს!
 მიწას არ დავსთმობ, მიწას — არას გზით!
 მის გასაწმენდად და გასაჩეხად
 ბევრი ვიწვალე...

ვინ შემეცილოს? დავეცე მეხად!
 ქალაქს დავუჩრი; იმას ჩაქური, მანქანა, ჩარხი!
 მე აქ — ფიწალი!
 ბარი ნამგალი... სარწყავად არხი!
 მჭრელი გუთანნი!

ტოლი მყევარი, ხარი მსუქანი!
 რომ თავის ტყავში თითო მათგანი
 ვერ ეტეოდეს! —
 უღელს მიმტვრევდნენ. თელას გატუსქულს!
 თუ იმ ღროს მნახავთ გლახად ატუხულს, —
 გითხრა ნამდვილი:

თავზე დამხურეთ ქალის მანდილი!
 მიკი არ ვიყო მე აეთანდილი!
 შერცხვის ჯაბანი,
 თუ ვერ მხნეობდეს!

ლუქმას სხვას სთხოვდეს, კერას აჭრობდეს!
 თვით ვერ ნაგრობდეს — და ვერც ღრეობდეს!
 რქებს დავუკოცნი ნიშას, ნიკორას!
 გავაფხვიერებ ბელტოს, იქ კორახს!...
 თვალს დავუყენებ მოშურნე ზარმაცს!
 ქება სთქვას ჩემი განთიადისას ტოროლას ზარმაც!

2

ჯერ კიდევ სისხამ-ღილით ამდგარა,
 დაუბანია წყაროზე პირი;
 სამს შუბის ტარზე მზე გადმომდგარა,
 მოლქებნია მას მუხის ძირი —

ჰშიან მგელივით! აქვს ხმელი ჰური

და შესატანად ნიორი მწირი.

სკაშს მაღიანად დაობეზულს, დიდის ხნის ბმადს;
ოითქოს მშიერი შეეჭკოდეს შემწვარს სუსტ ცვიანს.

— ახ! ერთი კათხა წითელი ღვინო!?

მაგრამ ღვინო კი არ სჩანს ხელადით!

ვენახს ჰბარავდეს, მისი წვენი კი თითონ არ ჰქონდეს?

მერე რა შევებით, ერთის გადაკვრით,

გამწვრალს ყელს იგი გაისველებდა!

შავის გრილოს ქვეშ დასვენებდა!

დიდის რძესავით მას შვირვებდა!

ნაყიერს საჰმელს არ ინატრებდა!

მკლავი შეახმეს

მსუნავს მეფახშეს!

არ ანებებდა! იცის, იმდენი არც ერგებოდა!

ქვევრი და ქოცო ამოღწურა!

ის თავანკარა: ლალი და ქარვა

მას დაუფულა და დაუწუნა!

მის ეშმაკობას განა ვერ მიხვდა?

ძალამ კი არა—ხატირმა გატეხა!

დავიდარაბა აღარ ასტეხა!

— ახ, ცოტა ღვინო რომ ჰქონდეს ეხლა!?

მაშინ გენახათ იმ შავს მიწასთან ომი და შეხლა!

ხმელს პურს და ნიორს აყოლებს წყაროს...

ამბობს: არამი ნუ მომხმაროს!

ნურც მე, ნურც ჩემს მტერს...

— ნურავის! ნურც ერთს!

ოხ, ვინ მოითმენს ნეტავი ჩემდენს!

და არ ამოფხვრის ბოროტის ჩამდენს?

ქვეყანას ვაწვდი პურსა და ღვინოს!

ჩემის ნაშრომით ბევრი სხვა ლხინობს,

მაგრამ ჯანდაბას!..

გაეაძღობ სოფელს, ჭალაქსა, დაბას!

კიდევ შევიძინე ალაღ მარჯვენით! —

სამოთხეს შევექმნით, თუ კი ყველანი გავისარჯენით!...

და მაინც ზრუნავს დაღამებამდე... ბარსა სცემს მიწას!

შუბლი ეშუხვინის: რას ფიქრობს იმ წაშვ?

ოფლი ჩამოსდის... ოფლში ლიღინებს...

თვის ნამუშევარს თვალს გადაავლებს და გაიღიმებს!

3

ორს ბარის პირზე მან ნიადაგი გადაიბრუნა.

კარგი ამინდიც ზეცამ არგუნა!

როგორც ვაფიშვილს დაჰხარის ვენახს.

იქ სარს ჩასჩეკავს, ხოლო აქ მერქანს.

ლობეს ამაგრებს და მავთულს აბამს,

შეაყრის გოგირდს და შაბიამანს!

ძურწას ამოჰგლეჯს, კლერტს გადაავლებს,

ზედმეტს რტას აცლის, ვაზს არას ავნებს,

თუ არას არგებს!...

მორჩება ვენახს. სამკალში მიდის და ერჩის გულშიც.

ნამგალი ელავს. მარდათ ჰკრავს ულოს;

ძნას ძნაზე აწყობს და ათეულიც

ჰსურს საღამომდე ცხრა შეასრულოს!

შუბლზე წაუყრავს საგრძლობელი,

ტრიალებს, წელში არ იმართება;

როს გახურდება ჯანის მფლობელი,

ხბოლად მაშინ თუ დაიკვალთება.

ძმრიან წყალს დაჰლევს! ძმარში პურს ჩაჰყრის.
და სადმე ჯაგთან ერთს წუთს მუხლს ჩაჰხრის!

4

თავის სიცოცხლეს ცისქვეშ ატარებს...
როგორც თვით არის, ისევე დაზღის შეილებს პატარებს.
ხან თუ სწევას სიტზე, ხან ყინვა აზრობს;
მის რკინის მკლავებს ვერა-რა აენებს, საღ შეიფარებს?
ყველას იგერებს, ყველაფერს ასწრობს!
ყველაც მას ებრძვის თვით ბუნებაში, რომელს ერთს მოვთვლი?
გვალვა, სიცივე, თავი, კალია;
და თუ გაცივდა სადმე ნოოფლი,—
იმის ოჯახში ცოდო-ბრაღია!...
ასში ხუთია გლეხის გარეშე
ამ სოფლის ფართე არემარეში!
როს მიიბიჯებს, თვითვე ჰგრძნობს ძალას!
აზრობს და ფრთხილობს, თან ერიდება სხვის ხათხალას!
იტყვის და სიტყვას აღარ გარდასთქვამს!
დასახულ მიწას ჯერ გულში ჰმარხავს.
იგი მტკიცეა, ოდეს იზრახავს.
ბევრი უნახავს, მას განუცდია, კიდევ ბევრს ჰნახავს!
შრომა და ჯაფა მისი ხედრია!
უსამართლოსთან მუდამ მკვეთრია!
მას არ დაზოგავს და შეაგინებს.
ის შეინძრევა გოლიათივით, ამოფეხინებს.
და თუ გამწვარდა, გაანადგურებს
ტაძრებს, საღვურებს,
განცხრომის ჰინებს,
დაღუწვას სკიპტრას, და ციხის რკინებს!
რა შეაშინებს?
და რასაც ერთ ღროს თვით ამაგრებდა
და არ ანგრევდა—
მტვრად გარდაქცევს,
რა შეიმაგრებს,
თუ ასწვეტს აფრებს?
მაგრამ მას უყვარს ცხოვრება მშვიდი,
რომ ააშენოს და გასლოს ხიდი!
—გლეხისა გჰმონდეთ კრძალვა და რიდი!

5

მას თავისუფალს სძულს მუქთა-ხორა,
თვით პირუტყვიც კი მან თავისთავთან ათანასწორა!
თავის მსგავს რისთვის დაეჩაგრინოს?
მოკვდეს ვაჟკაცი, იყოს ცვედანი,
თავისი ოფლი თუ სხვას შეარგოს,
ან შეარჩინოს!
თუ არ ცხვირიდან წამოადინოს!
მიწა! კვლავ მიწა სასპარეზოდ!
ყველას ეყოფა სახნავად, ეზოდ!
აი, ეს ბურთი და მოედანი!
მოკვდეს ვაჟკაცი! იყოს ცვედანი,
ვინც ვის ჩამორჩეს, დაეჩაგრინოს!!
როგორც ფუტკარი, ნაყოფს აგროვებს;
ირჯება. ითმენს. მტერსაც აღროვებს.
შურსაც იძიებს და მოიგლოვებს.
ის მუდამ არის როგორც მკენარე;
მას მზე წარმოშობს, რომ აღარც იყოს!
გლეხი პატრონი შავის მიწისა

მიწამ მიიღოს და მიწამ რიყოს
და გაუთხაროს მანვე სამარე!
ერთხელ დაჯდება,
როცა მაჭრდება
და ლურჯ სუფრაზე გააძღობს მშვიტს;
ჯამს წამოაღებს დაკოტილს ხელებს,
და ილღვრძელებს:
ცის ნაშს და ველებს,
ხარის ჭედს ძლიერს,
მიწის მოსავალს, კაცის მარჯვენას,
გლეხის ქომავსა და მის დამცველებს!

6

არ მოსვენებს გარუღლული, მზეში დამწვარი.
შრომობს—ლილინებს; დარდი აქვს და მაინც ლილინებს;
სარჩო მოზიდა: ბედნიერი სხვა ვინაა არი?
დღეს მხიარულობს, იღიმება, კვლავ გაიღიმებს!
რამდენს ღმერთს ძეგლი აუშენა და დაუმშენა?!
ყოფილა უღვთო, კვლავ წარმართი და ქრისტიანი.
თავის შექმნილი დაუმხია,—არ ჩივის ზიანს—
დღეს თვითონ არის მხოლოდ ღმერთი—ადამიანი!
ბუნების ზვილი ისევ შერჩა ბუნების წიაღს!

7.


სღვას ნიადაგზე!—
ის ხომ ყველას ნიადაგია?
ქალაქში ჰგზავნის თავის შვილებს ქარხნის დაზგაზე.
მათ ასპოზინებს, ეინც კი ქვეყნად მეტი ბარგია!
ამღერებს ჩანგზე რჩეულს მეოსნებს გარდუვალს ჰანგზე!
ჰქმნის დიდს ეპოქებს, მთავარსაძღლებს, სრა-სასახლებს.
შენიც მისია და თავისიც! ყველას ხელს ახლებს,
სულ თვისკენ მიაქვს, რაც ამ ქვეყნად მოუტანია!
და თუ ჩასთვლიმა, თავის თავსა კვლავ განაახლებს!
მაგარს ხერხემაღლს და ზურგს რა არ გარდუტანია?!

სანდრო შანშიაშვილი.

თიბათვე

ქიზიყი. წისქვილი.

დაჯანა—აჯობა.
სვე—ნამუშევრის ერთი წვება, ანუ კვალი.
ნაწილი—საუზმე.
კორაზი—გამხმარი ბელტი.
ქალაქს დავურჩი—ერთგული მაყოფა.
შეცვარი—ორი წველი საჭინელი.
სისამ-დილით—ძალიან ადრე, უთენებლად.
ულო—ძნის შესაკრები ძირში მოგლეჩილი ყანა.
ათეული—ათი შეკრული მან ერთად დაწყობილი.
ხმადი—სახელდახელოდ ცეცხლში გამოცხვარი პური.
კათა—ზის სასმისი.
ქოცო—პატარა ქვევრი.
ჩასტკაცს—გაუმწვეტებს.
ძურწა—მცენარე.
კლერტი—ალაფის ძირკვები.
ცდევანი—ურღური.



მარქსის საფლავი ლონდონის ჩრდილო მხარეს.

მ ზ ე დ ე ლ ი .

ის იყო მაღალი; ყველაზე მაღალი იმ არე-მარეში მხარ-ბეჭ გაიწიერ, სახე და ხელები გამურული. მის ოთხ-კუთხოვან შუბლ ქვეშ, ფაფარივით ზნორი თმის ქვემოთ ბრწყინავდენ დიდი, ბავშური ცისფერი თვალები ისეთივე, როგორც ელვარე ფოლადი. როცა ის ხელებს მაღლა ასწევდა კმაყოფილის ძლიერების იერით, — ეს იყო ხელების ისეთი შერხევა, რომელსაც მიაჩნია გრდემლზე მუშაობამ, — გვეგონებოდათ, რომ ის თავის ორმოცდაათ წელს კიდევ უფრო მზიარულად ზიდავს, ვიდრე სწევს უფრო ოცდახუთ გირვანქიანს.

მთელი წელიწადი მკედელთან დაეყავ. ეს იყო წელი ჩემი გამომართვების. დაეკარგე გული, გონება და წავედი ოთხივე მხარეზე საკუთარ თავის საძებნელად, რომ მომე-ნახა შრომის მყუდრო თავშესაფარი და აღმედგინა და-კარგული მშენებლობა.

ერთხელ, საღამოს, გზათ სიფელებ გავლით, მე შე-ვამჩნიე განმარტოებული, გზის ჯვარედინზე მდგარი, ცეცხლით განათებული სამკედლო. მასში ისეთი ლაღლადი გაჰქანდა ცეცხლს, რომ ფართოდ გაღებულ კარებიდან გამოვარდნილი ზეჭი თითქოს ხანძარში ნთქავდა მთელ გზა-ჯვარედინს. პირდაპირ, მდინარის პირზე ჩამწყრივე-ბული ვერხვების რიგი იკავლებოდა, როგორც ყინული-ლების წყება. შორიდან, წყნარ ბინდ-ბუნდში, მოთხარაკე ცხენოსან ასეულების მოახლოების მსგავსად, ჩაქუთია მწყობრი ცემისაგან ისმოდა რკა სამი ოთხი ვერსის მან-ძილზე. გაეზნულ კარების ახლო, უხვად მოუწილ სინათ-ლესა და ხმაურობაში, ამ გრავინესა და ქეკა-ქუხილში

მე გაგზრდი უკვე სრულიად დამშვიდებული და ბედნი-ერი ასეთი მუშაობის სანახაობით, ამ ადამიანის ხელების დანახვით, რომელი ხელებიც გრვებდნ და ასწორებდენ გაგვარებულ რკინას.

ამ შემოდგომის ღამეში ვიხილე მკედელი პირველად. საეგლო გახსნილ პერანგიდან უჩანდა ძლიერი მკერდი, რომელზედაც ყოველ ამოსუნთქვის დროს ისახებოდა თი-თქოს ნაცად რკინისაგან გამოკვეთილი გვერდის ნეკნები. ის უკან გადისებოდა, გააქანებდა ხელს და სცემდა ჩა-ქუქს შეფერებლივ, ტანის მოჭილ და განუწყვეტელ რხევით, კუნთების დაუზოგველ დაკბივით.

ჩაქუქი სწორ წრეს ავლებდა ჰაერში, ჰდანტავდა ნაპერწკლებს და სტოვებდა ელვის ხაზს. ეს იყო ურო, რომელიც მას ორივე ხელით ეყარა. მის ყოჩაღ ვატიშვლის ამ დროს გაგვარებული რკინა მარწყუების ბოლოებით ეკირა და თავის მხრივაც სცემდა ჩაქუქს, რომელიც აყრუ-ებდა მოხუცის მიერ გაჩაღებულ საშინელ ურის ცეცვის.

ტოკ-ტოკ, ტოკ-ტოკ-ეს წაგავდა დიდის გამამზნე-ვებელ ხმას, რომლითაც აქუხებს ბავშვის პირველ ტიტინს. ურო თითქოს ვალსის თამაშში იყო გართული, მას ტანთ ნაპერწკლების ბრწყინვალე სამოსი ეცვა და გამალებით სცემდა ქუსლებს, თავის დაღს აჩენდენ ბარ საკეთილს. სისხლის-ფერი ალი სწედებოდა მიწას: ანათებდა ორ შემოს კუთხოვან ფიგურას, რომელთა ლანდები თრთო-ლავდენ და გადადიოდნ სამკედლოს ზნელ და პირქუშ კუნჭულებში. ხანძარი ნელ-ნელა ჩაქუქა, მკედელი შეჭერ-და. ის იდგა მთლად გამურული, ჩაქუქის ტარზე დაყრდნო-



განუწყვეტილ სიკვამლე გრდელზე ჩვენი ანალოზის კვერს, რომელიც სკედავს ცეცხლში მომავლის საზოგადოებას.

მას უყვარდა ჩაქუჩითა თამაში. სახუმაროთ და გასართობათ ის აიღებდა ხოლმე უროს და ხელის ძლიერი გაშლად გაქანებით დასცემდა გრდელს. ამ დროს ქურის ვარდისფერ ალით განათებულ სამკეცლოს გამჟღავნებდა

გარკინვა. და ზანზარი. მე შეჩვენებოდა, თითქმის მასში ის-მოდა მთელი მშრომელი ხალხის ოხვრა.

და აქ სამკეცლოში, გუთნებს შორის, მე საესებით განვიკურნე სიზარმაცის და იკვების სენისაგან.

თარგ: ვლ. გიორგოზიანის.

ნატალინის დაღოვანი.

გარდერობიდან იგი გამოდის.
როგორც მარაოს აისერის ხელებს.
მას უყვარს უჯრა ჩემი კამოდის
და შიგ დაეძებს ზამთრის ჩურჩხელებს.

ის ჩემს ოთახში დადის უაზროთ.
თავის ყოფნაში მან დამაჯერა.
მაგრამ დამალვა კიდეც მოასწრო,
როს დავაპირე მისი დაქერა.

ჩემი ოთახის მას ბინდი უყვარს...
სხვაგან ჩემსავით არ მოელოან.
უკანასკნელად მე აღარ ვწუხებარ,
რომ ჩემი ბინა ასე ბნელია...

მკვდარ დედოფლების კაბებს ატარებს.
უხდება მთვარის პირსაბურავი.
მაგრამ მაღონას ნუ შეადარებს
მის ათრთოლებულ რწმენით ნურავინ.

ის ცბიერია. თუ ჩავიკეტე,
მაინც მეწვევა მაღალ სურნელით,
ის ჩემს ყელსახვევს ხშირად იკეთებს
და არის ქურდი განუკურნელი.

ის მევედრება როგორც მთხოველი:
ო, ნატალინის მეუღლე გახდი!
და ყალბი თოვლით მოოქროვილი—
გაიხიარე შენ ჩემი ტახტი!

ვალერიან გაფრინდაშვილი.

ახლად აღმოჩენილი ქრისტოგათია და ნ. ბარა- თაშვილის უკომოგოს ლექსები.*

ახლად აღმოჩენილი ქრისტოგათია.

ძველი ხელნაწერებისა და სიგელ-გუჯრების გარჩევის დროს, რომელნიც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას გადმოეცა მთავრობის მიერ ე. თაყაიშვილის ბიბლიოთეკასთან ერთად, ჩვენ წა-ვაწყვლით ერთ საინტერესო რვეულს, რომელიც ლე-

ქსების კრებული აღმოჩნდა. ეს რვეული ამჟამად საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის საკუთრებას შეადგენს და ჩაწერილია ხელნაწერთა განყოფილე-ბაში № 2684-ით.

ტექსტი გადაწერილია მოთეთრო სქელ ქაღალ-დზე (ზომით 20,5×17 სანტიმეტრი), რომელსაც წალოვან ნიშნათა შორის უზის წელიწადი „1833“. ნაწერის ხელი მეტად ლამაზია და რამდენადმე ნ. ბარათაშვილის ხელს მოგვაგონებს, თუმცა იგივეო-ბის დამტკიცება საძნელოა: ამგვარი ხელი წარსუ-ლი საუკუნის 30-იანი წლების სხვა ხელნაწერებშიც

* წაკითხულია მოხსენებად „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში“ 1924 წლის 7 ივნისის სხდომაზე.

გვხვდება.** ტექსტი გადაწერილია შავი ზღუდით, რომელიც საკმაოდ კარგადაა შენახული (ზოლოდ ოდნე იშვანება გადახუნება). იმავე ზღუდით რვეულის ფურცლებს უზის პაგინაცია (არაბული ციფრებით), საიდანაც ჩანს, რომ თავდაპირველად რვეულში 22 ფურცელი ყოფილა; მაგრამ დღეს მას შუაში ორი ფურცელი აკლია, სახელდობრ მე-11-ე და მე-12-ე, რის გამოც მე-10-ე ფურცელს ახლა იქ უშუალოდ მოსდევს მე-13-ე ფურცელი, რომელზედაც ტექსტი თავდაპირველადაა წარმოდგენილი.

ორთოგრაფიული მხრით, ყურადღებას იქცევს ეგრეთწოდებული „ხედმეტი“ ასოების ხშირება: ჯ, ქ, ც, პ, ჭ, ა და სხვანი.

შინაარსის მხრით, რვეული გაყოფილია ოთხ ნაწილად ანუ „განყოფილებად“, რომელთაგან, ფურცლების (11—12) დაკარგვის გამო, მესამე განყოფილება უსათაუროდ და თავნებალადაა წარმოდგენილი (შესაძლოა მეორე განყოფილებასაც აკლდეს ზოლო), ხოლო დანარჩენები ასეთ სათაურებს ატარებენ: I. პოეზია აპოლოგიური; II. პოეზია ბუკოლიური; IV. პოეზია დიდატური.

მაგრამ აი თვით ეს განყოფილებანი და მათში მოთავსებულ ნაწარმოებთა და ავტორთა სია:

პირველი განყოფილება.

პოეზია აპოლოგიური. ზღაპარი.

1. ვირი და ბუღბული. რუს. თა გრიგოლ ორბელიანი.
2. ვარდი და ია. თა ნიკოლოზ ბარათოვი.
3. ფოთლონი და ფესქნი. რუს. თა მიხაილ თუმანოვი.
4. კრიქინა და ჯინჟველა. რუს. თა გრიგოლ ორბელიანი.
5. ნარგიზი და ყაყაო. თა ნიკოლოზ ბარათოვი.
6. სირი და ჭეინტა. რუს. თა მიხაილ თუმანოვი.
7. ნადირთა ჭირი. თა გრიგოლ ორბელიანი.
8. ვარდი და ბუღბული. თა ნიკოლოზ ბარათოვი.
9. სოფელნი და მდინარე. თა გრიგოლ ორბელიანი.
10. ბაყაყნი, მთხველნი მეფისა. თა მიხაილ თუმანოვი.

მეორე განყოფილება.

პოეზია ბუკოლიური. იდილი.

1. მირტილი. თა მიხეილ თუმანოვი.
 2. დაუდგარმელი მწყემსი და კეთილი მწყემსა, ანუ კობდი და ზლოე. თა გ ორბელიანი.
 3. მთოვარე. თა ალექსანდრე ორბელიანი.
- სწორედ ამ ლექსის შემდეგ რვეულში ამოვარდნილია ორ. (11 და 12) ფურცელი, და ეს გვაფი-

ქრებინებს, რომ ამ განყოფილებას რამოდენიმე ლექსი უნდა აკლდეს.

მესამე განყოფილება.

1. იმავე მიზეზის გამო მესამე განყოფილების წარწერა, სათაური და დასაწყისი დაკარგულია და დღეს პირველი ადგილი უჭირავს თავნებალად ემიზოდს „ვეფხისტყაოსნიდან“, სახელდობრ როსტევენ-მეფის მიერ ნადირბობის დროს უცხო ყმის (ტარიელის) ნახვის ამბავს, რომელიც იწყება ტავით:

„სხენსა შესჯდა, მონათმეცა საუბარნი რად იყურნა“ და თავდება ტავით:

„გაბედით და სიხარულით, ჩაღანა და ჩანგი ტკბილი.

შ. რუსთველი“.

2. შემდეგი ადგილი ამ განყოფილებაში უჭირავს საკმაოდ მოზრდილ ლექსს (პოემას): „კავკასიური მოთხრობა“, რომელსაც ხელს აწერს: „ნიკოლოზ ბარათოვი“.

3. *რუსი მოთხრობა (პოემა) თა ვირი* დ. ქსნის-ერისთავი.

4. პოემიდან კავკასიის ტყეტი. რუსულით. თა მ. თუმანოვი.

მეოთხე განყოფილება.

პოეზია დიდატური. ა. აღსაწერი.

1. შემოღამება მთაწმიდაზედ. თქ. თა ნიკოლოზ ბარათოვი.
2. კახეთი. თა მიხეილ თუმანოვი.
3. თოვლი. თა დავით ბ. მაჩაბელი.
4. რომანსი*. „ვედარში ღამით შემოდგომისა“. რუს. დ. კარლანოვი.
5. აზარისღამე. (ავტორი ნახევრები არაა, მაგრამ ეს არის გრ. ორბელიანის (კნობილი ლექსი).
6. „როს ნაპოლიონ შვიდ მეფეთ“ (ლექსი).
7. რომანსი*. „ვედარში ღამით შემოდგომისა“. რუს. დ. კარლანოვი.
8. „ლოკავს იტყვის მაღალო, ღმერთო ცათა და ხმელთაჲს და თავდება ტავით: „მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულისთქმათა“.

ასეთია ამ საინტერესო რვეულის შინაარსი. არავითარი მინაწერი, თარიღი ან ანდერძი გადაწყვიტის ამ მკითხველისა რვეულში არ მოიპოვება, რომ მათი მიხედვით შესაძლო იყოს ამ საყურადღებო ქრესტომათიის დათარიღება. ამიტომ იძულებული ვართ სხვაგვარ საბუთებს მივმართო.

როგორც ვთქვით, ქაღალდს წყლოვან ნიშანთა შორის უზის წელიწადი „1833“; მაშასადამე შეუძლებელია ეს რვეული ამ წელზე უადრეს იყოს გადაწერილი. იმავე აზრს ადასტურებს ის გარემო-

** იგივეობის დამტკიცებას აწვდის ის გარემოებაც, რომ თვით ნ. ბარათოვილის ლექსებში და შენახული ისეთი შენახვები და ზარეზები, როგორიც თვით ავტორის ვერ მოუყვამდნა.

* ეს არის პუშკინის რომანსი: „Под вечер, осенню не-настной“, დაწერილი 1814 წელს.



ვახტანგ ლევანის ძე მჭედლოშვილი

(მოსკოვის სტუდიის ხელმძღვანელი მისი გარდაცვალების გამო მოსკოვში).

ებატ, რომ აქ მოთავსებულია გრ. ორბელიანის ლექსი „ნადირთა ჰერი“, რომელიც ამ პოეტის ლექსთა სრულ გამოცემაში (მე-3 გამოცემა, ზ. კიკინაძისა, ტფილისი, 1884 წ.) დათარიღებულია 1833 წლით. იმავე მგოსნის დანარჩენი ლექსებიდან, რომელნიც ამ ქრესტომათიაში არიან მოთავსებული, ჩვენ ეიცოტ მხოლოდ სამის თარიღი და სამივესათვის ეს არის 1832 წელი (ასეთია ლექსები: „ვირი და ბულბული“, „სოფლოვნი და მდინარე“ და „იარაღისადმი“, შედ. ზემოხსენებული გამოცემა 1884 წლისა). რაც შეეხება გრ. ორბელიანის დანარჩენ ლექსებს ამ რეველში და, ნიკ. ბარათაშვილის გარდა, დანარჩენი ავტორები (ალ. ორბელიანის, მის. თუმანიშვილის, ვ. ერისთავის, დ. მაშაღლისა და კორღანოვის) ნაწერებს, მათი არამც თუ თარიღები ცნობილი არაა, დღემდე თვით ეს ნაწარმოებნიც კი, მცირეოდენის გამოკლებით, სრულებით უცნობნი არიან ჩვენს ლიტერატურაში*. ამიტომ რეველის გადაწერის დროის გამოსაკვეთად იძულებული ვართ ამ ნაწარმოებთ გვერდი ავუაროთ და ქრესტომათიაში მოთავსებულს ნ. ბარათაშვილის ლექსებს მივმართოთ.

ქრესტომათიაში ნიკ. ბარათაშვილის ლექსთაგან მოთავსებულია ხუთი ნაწარმოები, სახელ-

დობრ: პირველ განყოფილებაში სამი (2, 5, 8), მე-სამეში — ერთი (2) და მეოთხეშიაც ერთი (1); შემადგოა მისი რომელიმე ლექსი მეორე განყოფილების ბოლოშიაც ყოფილიყოს, მაგრამ, როგორც არაერთგზის ნათქვამი გვაქვს, სწორედ ეს აღვიღო რეველში დაეკრეფა, და ამიტომ არაფრის თქმა არ შეგვიძლია.

ამ ხუთ ლექსში დღემდე ჩვენს მწერლობაში და ბარათაშვილის ნაწარმოებთა სრულს გამოცემაში ცნობილია მხოლოდ ორი: „ვარდი და ბულბული“ და „შემოღამება მთაწმიდაზედ“; მაგრამ ნაბეჭდ გამოცემებთან შედარებამ დავარწმუნა, რომ ორივე ლექსის ტექსტი ჩვენს ქრესტომათიაში გაცილებით პრიმიტიული და დაუმუშავებელია, ვიდრე ამავე ლექსების დღემდე ცნობილი ნაბეჭდი და ხელნაწერი ვარიანტები; ამ უკანასკნელთა კი თარიღად უნის: „ვარდსა და ბულბულს“ 1834 წელი, ხოლო „შემოღამებას მთაწმიდაზედ“ — 1836 წელი,* განსაკუთრებით ამ უკანასკნელი ლექსის ტექსტი ჩვენს რეველში ღიდად განსხვავდება მისი უკანასკნელი, 1836 წლის, რედაქციისაგან, და ეს განსხვავება ისეთი ხასიათისაა, რომ შეუძლებელია პრიორიტეტი ქრონოლოგიურად 1836 წლის რედაქციის მივაკუთნოთ: ექვს გარეშე, რომ ჩვენი ქრესტომათიის ვარიანტი ამ ლექსისა ერთ-ერთი მისი პირვანდელი სახეაგანია, თუ თვითონ პროტოტიპი არაა. ამიტომ შეგვიძლია ამ ვარიანტის თარიღად ვივულისხოთ არა 1836 წელი. არამედ 1835 ან, შესაძლოა, 1834 წელიც.

ერთი სიტყვით, ყოვლისავე თქმულის მიხედვით, ჩვენი ქრესტომათიის გადაწერა უნდა მომხდარიყოს სადღაც 1833 და 1836 წლებ შორის, სახელდობო 1835 წელს ან შესაძლოა 1834 წელსაც; სანამ ნ. ბარათაშვილის ლექსი „ვარდი და ბულბული“ მიიღება იმ რედაქციის („ბულბული ვარდზედ“), რომლითაც ეს ლექსი დღემდე იყო ცნობილი ხელნაწერსა და ნაბეჭდ გამოცემებში, სადაც იგი დათარიღებულია 1834 წლით.

გადავღეთ ახლა თვით ნ. ბარათაშვილის ლექსებზე და მოვიყვანოთ მათი ტექსტები უცვლელად ჩვენი ქრესტომათიიდან (ოდნავ შევცვლით მხოლოდ სახელებელ ნიშნებს და თვითიულის ლექსს წინ გავუყუთებ ტაეების სარიცხავს).

II

ნიკოლოზ ბარათაშვილის ყრმობის ლექსები.

1. ვარდი და ია.

თ. 1. ვ.

უტყუტა მინდორსა, მწუხანოვანსა,
ნაზარდი, ნაზარდი,
ნაზად შეხრილი, გაფურჩქნელი, მუნ
ვარდი
ხანცა ილიმის, ხანცა ნაზობს წყნარადი,

* შესადარებლად ხელთ გვქონდა გ. ერისთავის თხზულებათა 1884 წლის გამოცემა (ტფილისი) და მიზეზი თუმანიშვილის „ჩრდელ ლექსები და სხვა თხზულებანი“. ტფილისი. 1881.

* ნ. ბარათაშვილი, ლექსები. ბედი ქართლისა. წერილები. ტფილისი. 1922 წელს (სამაშინ ფირცხალავას რედაქციით).

მსტერის რხევით წყაროს, მოწინააღმდეგის
ტანადი.

5. ზეფირო-მჭროლი, განმავრცოვ, მღვლეარე!
მსუბუქად ჰქროდა, ყუბავილთ ამაღლვარე;
იაც სოსნადა, ნარნარადა, მღვლეარე
ვარდის ბოლოსა უკლებლობასა მარადი. ფ. 2 r.
ვარდი ამაყი იტყვის წყნარი! მკინარი:
10. იავ წყრილ ძირავ! ნახე, შენთან ვინ არი;
ვით თავისუფლობა, ვითა ლაღობა, აქ
მდგარი?
რად არა იცი, მეტრფის კაცად კაცად?
იამან თმენა, სრულ მოსმენა ინება;
ვარდი ქართა ბორბალითა იძრევენება...
15. მაშინ შიშუპლი, გაფლილული იხრება...
ეტყვის ისას: აჟ ვგრძენ ჩემი ნაბადი.

თ-ნ ნიკოლოზ ბარათოვი.

2. ნარბიზი და ყაყაჩო. ფ. 3 r.

- ველის-ტურფისა, საამურსა კმა ისმის
ხანცა ბულბულთა, ხანცა სირთა, ხანც
ისმის,
ბუჭტუხელ ნიაგი, მომფრინავი, და ისმის
წყარო მგზავრთაგან, მაშტრალითაგან
მტკბარადი.—
5. ყუბავილი ორი, მუნ მდგომარი,
ლაღივებს, ფ. 3 v.
ყაყაჩო ნახად, ალისფერად ბიბინებს,
ნარგისსაც ჰრწყამს წყარო, ჰქრის ზეფირო
ანცადა? —
ნარგისმან შლილმან, ყვითლად მოსმან
ფურცელი
გარდშმადა, განაყვითლა მან ველი;
10. ჰრქტა ყაყაჩოსა, ალისფერისა: ხარ ჰრელი,
მითაც არ მშტპნი, ხარ მოხარლი ავადი. —
ყაყაჩო შეზხდა, განიდურჩქნა სუნნელად;
ჰრქტა ნარგისსა, მოკამათესა, ნელ ნელად:
შტპნიერება გარეგანი არს მართლად
14. უშინავანოდ ფუჭი ყველაგან მარადო.

თ-ნ ნიკოლოზ ბარათოვი.

3. მარდი და ბულბული. ფ. 6 r.

- ბულბული ვარდს შეაჯდა და ეტყოდა
მსტეენავი:
ვარდო, ვარდო, მტანჯ ჩემო, გვედრებ
გულთი მტკინავი,
მიხმენ აჯა, მიჩტპნე გაშლა ამოდ მონიავი,
მწუხრსა აქეთ აქა ვზი, ფიცხელთ ზედა
მკონავი.
5. ესრედ ჰყეფდა ბულბული, ოდეს
ლაშქა ბნელი

დღეებში უკარ დაწერილი ყოფილა „მწიგნარი“, მაგრამ გა-
დაშტერის იმავ მელნით ზაზი გადაუყვამს „მწიგნარისთვის“.

ს. გ.

* ზღადაწერში ამ მეთოდ ზანისა მხოლოდ სამი ტაქტია წარ-
მოდგეწილი; საფიტრებელი, რომ მეთოდ ტაქტის შედგენ ერთი ტაქ-
ტი გადაწერის გამორჩეულებს.

ს. გ.

მოიცუბავდა წაღკატას; ჰქროდა ნიაგიც
ნელი;

- მაისმანც მალ-ფრთოსანმან მიმოჰფინა
სუნნელი;
აღმოსვენდა მქრქლად მთვარე, დაღუშდა
კმაკ ყოველი.
ბულბულსაც, მაშტრალს ყვითი, ეწია
მწირე რული; ფ. 6 v.
10. აღმოაბწყინდა მთიებაც, ფრთოსანთაც
მხიარული
გალობა ჰყევეს ჰაერში, განაღვიძეს
ბუბოლი,
ვინ დაზხედა გაშლილს ვარდს, და ეჯა!
დასვეა გული!
თვალნი ემოსა ცრემლით, გული
სევდის სახმითითა,
ფრთა ფრთას ჰქრა და აღმოდდა,
მსტეენავი ღმობის კმითა,
15. უზმა ყოველთა სირთა: მოდით და
შემოკრბითა,
მისმინეთ, შემეძრალეთ, ვის მიემართო
წყულულითა?
განთიადით ღამემდე შეგფრფინიდი
კოკრობის,
არ გზოგავდი სიცოცხლეს, არცა სტეენავ,
გალობას,
მაქტუნდა მკირე წადილი, ვერ მიეხვდი კი
ძნელობას,
20. ესთ გაწილდეს, ვინც იწყებს, თვსგან
შეუძლებლობას.—

თ-ნ ნიკოლოზ ბარათოვი.

4. კამპასნიური მოთხრობა. ფ. 13 v.

- ბადრი მთვარე! კაცკასა მოჰფენს;
აულ და სტანცი მყუდრობს მთის
ღამერცეს;
მხოლოდ ეაქაკი ყაზახი ჰზისა.
მარტოდ უძილო ტალავას თვსსა.
5. ამოდ ზიხარ, ყაზახო, ფიქრით,
ემთა მიმოჰსთვილი? გულისა ძგერით;
ამოდ უქერეუ სარკმლით ნაქადას,
იღუმალ ელი სატრფოს ნახტასა.
დაჰსდგა ეამიცა ნახვის საწადი,
10. უკამარდლოდ არს ისევ ნაკადი,
სადაც ბედნიერ ჰქმნა პირველ ნახვითა
მის მტანჯველ ქალმან სიყვარულითა;
სადაც ბრადე ქმნილმან ქალისა
ნდომით, ფ. 14 r.
ჰყეცა რომ განსძდგეს სარწმუნოებით,

* აქ აღზად უნდა ყოფილიყო „მთვარე“; ან შეიძლება
აქედან მთელი სიტყვა, მაგალითად: „სიხეს“ ან „მუქა“.

ს. გ.

* აქაც აღზად გადამწერლის შეცდომა უნდა იყოს ნაცვალად
ფორმისა: „მიმოსთვილი“.

ს. გ.

* ლექსის მეტრის მიხედვით აქ უნდა ყოფილიყო: „სადი“.

ს. გ.



15. მაშადიანთა ჰსჯული მიიღოს,
რომ ტურფა ჭათი ჩქარად შეირთოს. —
ჰსკერეტს იგი ნაკდს, სარკმელს
მდგომარე,
ჰხედავს მყის, რომე ტალავრის არე,
დგას კაბარდელი, მქმუხი, ფერ-ნაკულელ,
20. ფარჩენიერ ღართით, ყაბაღა-ჩაცმულ.
იგი ძმა იყო კაბარდინკის მის,
ადრითვე ყუნაქ მცნობარს! ყაზახის;
იგი მიჰსწევდა მათ ფარულს სიყვარულს;
გლიხ კაბარდინკის ჰურის ციფნებულს.
25. ჩემს დასა ელი? უთხრა ყაზახსა:
ის ვერლა მოგა წყლისთვის ნაკდსა,
მაგრამ შენ მიეცე შერთვის ფიცი მძას:
აბა რას იტყვი?... აღსრულდეს —
დრო არს.

ჰსკან, რომელ ასულს მოგიცდით სამს

- დღეს;
30. თუ დაივიწყებ, ყაზახო, შეეს² შენს...
მინდა გაცნობო — მოველი შენთან —
რომელ თვთ ჭათი იქნება შენთან.
მსწრაფელ განჰქრა იგი, რა რქუა
ყაზახს ეს,
ვის სინიღისი ჰქენჯნოდა სამს დღეს;
35. თუ ვით უმუღთლოს ჰსჯულსა წმოდასა?
ან ვით მოაკლდეს მშჰენიერს ჭათისა?

- უკუტ სამშან დღემ განვლო ესია,
როს მას დატანჯულს სევდა ესია,
შუაღამისას ჰსწევდიდა თვს მხედარს
დაცემულია მარტოდ სარეცელს; ფ. 14 v.
დაჰკრეს მის კართა და მანკ გააღო:
კაბარდინელი პარკითურთ იყო;
ვით ღამე ბნელი, მხეცებარ საზარი,
ბუტბუტებს ჩუმათ, თვალი მელვარი.
45. სამსახურს ახლავს ყუნაქს ჩემი და,
ჰსთქუა და სარეცელის პირდაპირ დამსდგა,
მოჰხნა პარკს პირი, ყაზახის ფეხთან
ამოიღო მყის ჭათის თავი მან.
ქოლს უპატიოდ არ აქვს სიკოცხლე;
50. შენ პარტიე და სიკოცხლე ჰსტაცე...
აწ ჰკოცნენ მასა, თუნდ ყოველს ეამსა,
მშვიდობით, ღმერთმან მაგიერ გყოსა!
მღუმრად დამსკერდა ყაზახი თავსა,
აბრაილდებ მხეცებარ თვალმება;
55. დაეცა მის წინ მუხლთა მოღრეკით,
მკუდარსა ცოცხალი შეგხო ბავით...
ბრწყინვენ კენწერნი სრულ კაცკისისა;
დღეს, როს წინაშე ჰკოცვის სახლისა
შეკრებენ ყაზახნი, და ნახეს აკლდა —
60. ყაზახი ერთი, იგ ახალგაზდა!

ნიკოლაოზ ბარათოვი

ფ. 18 r.

5. შემოღამება მთაწმიდაზედ.

- აბ! მთაწმიდაო, მთავ წმიდაო, ადგილნი შენნი,
დამფიქვრელნი, ვერანანი და უღამურნი,
ვითა მშჰენობენ, როს მონამენ ცუბარნი ციურნი,
ოდეს საღამოს, დაშთვენ ამოს ციავნი ნელნი!
5. ვითარი მაშინ იღუმალობა დასადგურებს შენს არემარეს!
რა სანახავი წარუტყუავს თვალითა მაშინ შენს ტურფას სერზედ მდგომარეს!
ძირს გაშლილს აღმად ველსა ყვაილნი მოჰფენენ, რეცა ტაბლას წმიდასა,
და გუნდრუკს ღმერთთან სამადლობელსა შენდა აღმევენ სუნნელმებასა.
მახსოვს იგი დრო, შესატრფო დრო, როს სევდიანი
10. კლდე ბინდმოსილო, შენს ბილიკად მიმოვიდოდი,
და წყაროს საღამოს, ვით მეგობარს, შემოვეტრფოდი,
რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და ნადვლიანი!
აბ! ვით ყოველი, ზუნებაც მაშინ იყო ღამაში მიმჰქალმებული!
ცე, ცაო, ცაო, ხატება შენი აწცა მაქუს გულსა ზედ დაწეულ;
15. აწცა რა თვალნი ლავჯარს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფიან,
და შენს წილში დაფიონ მოსილს მიმოობითა განიზნევიან.
მე შენსა მკერეტელს მავიწყდების საწუთრობა,
გულის თქმა ჩემი, შენს იქით... იქით... ზესკელსა სადგურს
ეძიებს, რათა დაჰშოოს აქა ამოება,
20. მაგრამ ჰაერში განქარდების ვერ ჰსცნობს უცნაურს!

ფ. 18 v.

დაფიქრებული ვიდექ სერზედა, და ცათა მიმართ მზირაოს ტრფობითა
შემომერტყმოდა მაისის მწუხრი, აღმსები ნაპრალთ მღუმარებითა;

¹ ამ სიტყვის ბოლოში „ს“-ანი ზედმეტი უნდა იყოს.

² რვეულში ამ სიტყვის სხვაწარად წაკითხვა შეუძლებელია. მაგრამ საფიქრებელია, რომ იგი გადაწერის დროს დაემატებინათ, რომ იგი გადაწერის დროს დაემატებინათ.



ლი და დღემდე უცნობი ლექსები თავისთავად დიდს პოეტურს ღირებულებას არ წარმოადგენენ, მაგრამ მათ დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს როგორც სა-
ლუცთესა მასალის ამ მგოსნის შემოქმედებითი ნი-
ჭის ზრდისა და განვითარების გასათვალისწინებლად;
ეკრძალ ისინი შექსა ჰყენენ ნიკოლოზ ბარათაშვი-
ლის შემოქმედების იმ პერიოდს, რომელსაც „ყარბო-
ბის ხანა“ შეგვიძლია ვუწოდოთ; და დღემდე სწო-
რედ ეს ხანა ყველაზე ნაკლებ იყო ცნობილი, ნა-
წარმოებთა სიმცირის გამო, ნ. ბარათაშვილის შე-

მოქმედების ისტორიაში. დღეიდან ნ. ბარათაშვი-
ლის ლექსთა კრებულს, რომელიც აქამდე მ-9-ილდე
ნაწარმოებს შეიცავდა (მიწერა-მოწერას არა ვთვლით),
სამი სრულიად ახალი და ორი ფრაიდ მნიშვნელო-
ვანი ვარიანტი უმატება. ვისურვებთ, რომ სხვა მკვლე-
ვარი ჩვენზე უფრო ბედნიერი ყოფილიყოს და, ახ-
ლად აღმოჩენილის ხუთი ლექსის საბადლოდ, ამ
ნიჭიერი ქაბუკი მგოსნის ხუთჯერხუთი დღემდე
უცნობი ლექსი და ვარიანტი აღმოჩენის.

ს. გორგაძე.

ზ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი

ბარათაშვილს, როგორც დიდი პოეტი, აღმოაჩინა
ქართული ლექსის როდენი ილია ჭავჭავაძემ.

ბარათაშვილს ჰყავს ერთი წინამორბედი, რომელიც
არ უნდა იქნეს დაეიწყებული, როდესაც ჩვენ ელაპარა-
კობთ „მერანის“ გენიალურ ავტორზე. ეს არის გურამი-
შვილი—ქართული პოეზიის ვერლენი, რომელმაც ალიარა
თავის მრავალტანჯულ ცხოვრებაში ლეონიშვილის
და ასანჭურის კულტი და დასტოვა ანდერძები, რომელნიც
გვაგონებენ სიღრმით და ძლიერებით ფრანსუა ვილიონის
ანდერძებს.

ბარათაშვილი დღემდე არის ჩვენი უდიდესი ლირი-
კოსი და არ არის მეორე პოეტი, რომელიც ლირიკაში
შედადება მის შეუდარებელ სახელს. ის დღემდე ახდენს
გავლენას პოეტებზე. მისი ეპიგრამების და მიმბაძველების
როცხე უთვალავია, მაგრამ ჩვენ დავასახელებთ პოეტებს,
რომელნიც ენათესავებან მას. ლექსი ჩვენი თანამედრო-
ვეს—გალაკტიონ ტაბიძის—„მთაწმინდის მთავარ“ არის
რეზონანსი ლექსისა „შემოღამება მთაწმინდაზე.“ მისი
მოწაფეები და განმეორებნი არიან ასეთი პოეტები,
როგორც სანდრო შანშიაშვილი და შალვა ამირაჯიძე.

ბევრი ლექსიში ჩვენი კლასიკოსების ილიასი და ავა-
კის ანიშნული არიან ბარათაშვილის უმატელი გავ-
ლენით.

ბარათაშვილის „მერანი“ არის ქართული პოეზიის
მოუწოდომელი დიდი და გარდაუვალი თემა. ქართველი
პოეტები ცდილობენ მიუხელოდნენ ამ იდეას და ასეთ
ცდათ უნდა ჩაითვალოს გალაკტიონ ტაბიძის ლექსი
„ლურჯი ცხენები.“

ტიციან ტაბიძის შესანიშნავი ლექსი „ცხენი ანგელო-
სით“ თემატურად ანალოგიური „მერანის“ თავისი ფორ-
მითად შინაარსით არის სრულიად ახალი და განსაკუთ-
რებული მიღწევა ქართული პოეზიის.

არაინ პოეტები, რომელთა ცხოვრება არის ბრწყინ-
ვალე ილიუსტრაცია მათი შემოქმედების. ბარათაშვი-
შვილი არ არის ასეთი.

მის პროზაულ და ლარბ ბიოგრაფიებში არ არის
თვალსაზრისი მომენტები და მისმა შემოქმედებამ უნდა გა-
მოისყიდოს ამ ბიოგრაფიის ნაკლი.

მისი უღრმო სიკვდილი, რადგანაც ის მოკვდა
ახალგაზდა, სტოეებს თვითმკვლელობის შთაბეჭდილებას.
თავისი სიკვდილი უხეცხეთში მან იწინასწარმეტყველა
პოეზიულენიკალურ „მერანში“.

მის სანტიმენტალურ წერილებში არის მოულოდნე-
ლი ირონია.

ზღვის სიყვარული ბარათაშვილმა გადაიტანა ერთ ფრანგ
ქალზე, რომელსაც ჰქვიადა სახელად დიდონა.

ერთ აპოკრიფულ პორტრეტზეც ის წარმოდგენი-
ლია ანდროგენიდ, მეორე ჰემზოიკტ პორტრეტზე ვაჟა-
კად მონილოური, თუ სააკაძისებური სახის გამომეტყვე-
ლებით.

მატყარმა ლადო გუდიაშვილმა მოგვცა პოეტის
პრობლემატიკური სახე, მისი ფანტასტიკური და შეიძლება
ყველაზედ უფრო ნამდვილი პორტრეტი. ჩვენ ვხედავთ
კუხანაიეთი მოღუნულ მახინჯის ციებთან სახეს, რომელიც
განწირულია წამებულ და ღრმა ფიქრისათვის.

როდესაც მატყარი ჰქვიადა ამ დემონიურ სახეს,
აღბად მას სახეში ჰყავდა ის მაღური დემონი, რომე-
ლიც მოუღო სიკაცხულ სდევნად პოეტს.
თუ წარმოვიდგენთ პოეზიას, როგორც მასკარადს,
ბარათაშვილი იქნება ყველაზე უფრო ტრაჟიკული ფიგუ-
რა ამ მასკარადის.

ის არის ქართული პოეზის ჰამლეტი. მისი ლექსები
დანიის პრინცის მონოლოგებია და ის თვითონ ჰამლე-
ტის ნიდაბში მდრის თავის ლექსებს და წარმოსთქვამს
სახელგანთქმულს „ყოფნა არ ყოფნას.“ ბარათაშვილმა
პირველმა ქართველ პოეტებიდან გახედა ჩაეხდნა სახე-
ში თავის სულისთვის—მედუნასთვის და მასი პოეზია
არის უხეცხ და გრუნტულით სავსე დიალოგი პოეტისა და
მისი არაფრის შიშის.

შუღამისას, როდესაც მარტოობა გვიკარნახებს თა-
ვის კომპარებს და ნეგირსტენია მითოლოგიურ ხელებით
გულზე ფოლაქებს იბნენ, გვაგონდება ჩვენ ბარათაშვი-
ლის ლექსები, მათი ცინიანი და დაუზოგველი ჩურჩული,
მეფილი მთავრული ლექსიკონი ამ ენაბულ პოეტის ბარ-
ბაროსულ რითმებით და უძველეს ეპიტეტებით, რომელ-
ნიც მეტოქეობას გაუწევნ საშულ-საუფნეთა საუცეთე-
სო გობაღდენებს.

ის შემოღამება და გახრწნა შთაბეჭდილებათა, რო-
მელზედა ლაბრაკობს ჰიოსმანსი „შამიანი ყვავილები“
დეკლარაციის დროს, უკვე ელვარებს ავ ცეხებდა ბარა-
თაშვილის ლექსებში. მან მოსწავლა ჯანსაღი ქართული
პოეზია იქნის შამიანი და ჩვენ შეგვიძლია უწოდოთ მას
ჩვენი პოეზიის პირველი დეკადენტი. მან „გამოიკონა“
მელანქოლია ქართულ პოეზიაში და მისი მემკვიდრეები-
სათვის ადვილი იყო სიარული ნაცადი გზით.

როგორც აღბრებტ დიფერენს რიანდი ის პირველი და ერთ ერთი რაიანდია სევის, რომელიც არ უღალატებს ოცნებას და მოგონებას.

ბარათაშვილი პირველი კავალერი იყო დაისის და მისი სადამო არის პოეტური აღმოჩენა და გამოცხადება. მისი სადამო საყდარია, სადაც ღვდელმსახურებს თვით პოეტი. მისი „შემოღამება მთაწმინდაზე“ არის მეცხრამეტე საუკუნეში ქართული ლირიკის უმაღლესი მიღწევა.

მის ლექსებში სხივების ქართულ პოეზიას პირველად შემოაღამდა ცის ქვეშ, რომელიც საშინელია თავისი ღრმა უფსკრულით.

პოეტი ვრუბელისებურ სერაფიმივით სდგას მთაწმინდაზე და იქედან გადაჰყურებს თავისი სიკაცხვას. კიდევ ერთი წუთი და იგი, როგორც კრუბელის ღმრთი გადგარდება ნაპრაღში და დაიბრუნება დაისის დამაბრმავებელ ალში.

მის ლექსებში ჩვენ ვხვდებით ვარსკვლავების სინათლით და ბარათაშვილის ვარსკვლავები უწმინდესი და უჭაწუღესია მნათობთა შორის. თუ ფრანგმა პოეტმა ლეოპოლდმა მანდო თავისი გულის ჩივილები და საყვედურები პროინციულურ მთავრებს, ბარათაშვილმა გაუზიარა თავისი ტანჯვა ერთ პირქვე ვარსკვლავს, რომელიც ღღემდე ანათებს ჩვენთვის და იწვის თავისი გაყინულ სხივებით, მისი სუბმული მორცხვია, როგორც ვიოლინ-ჩლის ცენსა და არ არის სხვა დიალოგი უფრო საკვირველი თავისი ინტიმი, როგორც სიმბოლური დიალოგი „შვირისა და სუბმულის“. ეს ორი მანათობის დევტია, რომელიც სტრიაან წყვდიადში და უპასუხებენ ერთმანეთს უფრო ნაზი ვედრებით, ვიდრე სიტყვები მეტერლინკის ღებისა.

ბარათაშვილი არის მამამთავარი ინტიმური პოეზიის, რომელმაც მიიღო შემდეგი განცხადება მეოცე საუკუნის ქართველ პოეტების შემოქმედებაში.

ბარათაშვილის პოეზია არის „საუცხოვო პეიზაჟი, სადაც სალამურებით დაეხეტებიან მასკები, მარკიზასთან პეიჯი და კოლომბინასთან პაიჯი“.

ლექსში „ღამე ყაბახზე“ ბარათაშვილმა შექმნა პოეზია დენდიზმის და ვერლენის აჩრდილები.

ყუთლანი—მომზიბლავი გემირი ყაბახის—ქართველი ბრემელია.

მალიამ უთოოდ დასაღა ბარათაშვილი, რომელმაც შეისისხლორცა მიეღო წამება საუკუნეთა და ყველა კატასტროფის უსაზღვრო სიგრეებში დაკარგულ ადამიანის სულისა.

როდესაც ის მიეჭანება თავისი მერანით უწნობ სიშორეში, ის თავის მისტური იდეალისთვის უარს ამბობს სამშობლოზე, რომ გადასტოვდეს ბედის საზღვარს და იგნოს თავი მიწიერ ყოფნის გარეშე.

ბარათაშვილი პირველი დიონისია ქართული პოეზიის, რომელმაც განსაკუთრებული ძლიერებით განხორციელდა „სიგივე“ და ორგინალუბა სასწაულ მოწყურებული ოცნების.

„მთვალის ხომალდი“ არტურ რემზოსი და „მერანი“ ბარათაშვილის არიან ერთი კათეგორიის ლექსები. აქ დიონისი ღღესასწაულობს თავის გამარჯვებას „საღ ვინებაზე“ და შეუტერბოლად მიეჭანება ნირონისაკენ.

ბარათაშვილის სულში იყო ღრულად დიდებულისადმი (ნაოლეონის კლუტი), მაგრამ მას ჰქონდა სიყვარული მინიატიურის. მისი ლექსი „საყურე“ შეიძლება ყველაზე უფრო ინტიმური ლექსია მსოფლიო პოეზიაში, სავსე დაფარული ცნებით და გრაციით.

პოეტი ანიჭებს სიკაცხვას უსახლო გრძნობებს და პოეზია ნაწილიების, ეფემერული ყოფნის იპყრობს ჩვენ სულს. ირანკინალური და ლანდური ყოველთვის საგრძნობელია მის ლექსებში. ის მუდამ ორამე ყოფნის საზღვარზეა, როგორც ტიუტჩევი. ის განიცდის დროს, როგორც კომპარს, მიწაზედ მიგაჯვდება, როგორც მაღარმეს თოვლიდან გვდი, ის ელტვის უსაზღვროებას, რომ განიძარკოს დროებით ტანისაცმელიდან და ანგელოსებთან ერთად ამბარწყინდეს მშვენიერ ეთერში.

მის ღრმს მცნება სიმბოლოსი კიდევ არ იყო აღმოჩენილი, მაგრამ თვით ბარათაშვილი არის სიმბოლო და სინონიმი პოეზიის. პოეტები გახდნან თვით ბარათაშვილის თავისი შთაგონების წყაროდ.

ლორია კიდევ დაუბრუნდება მას და შეიცვან თავისი გვირგვინი პანთეონში. ლორია „გადაახალისებს“ მას და ამ ახალ მასკარადში ბარათაშვილი დაიკრებს შესაფერადილს. მისი დღევანდე კიდევ ერთხელ შეხვდება მას ლირიულ ელიზიუმში, როგორც ორფეოსს ხევედა ევრიდიკე.

ვალერიან ვაფრინაშვილი.

არსენანს ლაქსი

(მესტიურული)

„შაირსიტყვითა მესტიერემ ღმერთი მაღალი ასენა: „ღმერთმა მოგეს გამარჯვება ოძელაშვილი არსენა!“

ქიფი მისი ყუყარდა, გზებზე სუფრისა გაფენა.

შეიდ წილობის ტყეით იარა, მთა და ბარი შეაჯერა.

რო შეიჭრა თექსმეტე წლის, უღუგაშენი დაიშვენა; შეჯდა თავის ღურჯა ცხენზე, გააჭენ-გამაჭენა.

ზალი ბარათაშვილი ძალიან გაგვინაწყენა:

ბატონს რომ ერთი გოგო ჰყავს, არსენს მოეწონება:

— „გოგო მე მომე, ბატონო, შენ კი არა წაიგებდა!“

ჩა რომ შინადგან გავიდა, ბარათაშვილს გადმეტტარა.

— „ეს არსენა რა გაგვიხდა, რა არის მაგისტანო?“

ბიჭო არსენა, რა მიყავ, ყმა იყავ მაგისტანო!“

— „მოგიტან თორმეტ თუმანსა, მოგიტოვებ ჩქარჩქარაო.“

ეს რომ ზაღმა გაიგო, წარბი არ შეინარაო:

„თორმეტი აღარ მიგვია ბიჭები შენისთანაო!“

— „ახა მთ თორმეტეცა გყავს, ადევ და მამეც თანაო!“

ე რა ზაღმა გაიგო, ქოშო უფულმა ჰყარაო,

კარიდან ვეღარ გაასწრო, ფანჯარიდან გაიღიპარაო.

მოსტაცა ბატონს მოახლე, ახალციხეს გადუყენა,

ჩითის კაბები გახადა, სხვა ფარები შეუკერა,

იმის ქვეშით შეიღწიო! კოჭებამდინ დაუშენა.

მობრუნდა ჩვენი არსენა ცოლშვილით გაინამტყერა.

ეს რომ ზაალმა გაიგო, ორთავ თვალით შექნა ცრემლი.

დაჯდა ჩვენი ის ზაალი და სტოლზე წიგნი დასწერა,

ქალაქში გამოაცხადა, ლუბერნატორს მოახსენა:

„გამოვარდა ერთი ბიჭი, დამაქცია, დამანელა!

ერთი ქარგი კოვო მყავდა, წამართო და გადმიყენა;

წყაბხინა არსენამა... თუ რასმე მიშველით თქვენსა..



რო შეიქნა თქვენგანთა წლის, უღუგუშო დანიშნება;
შეჯდა თავის ღრუჯა ცხენზე, გააქნა ჯაშუარა
ეს ზაალ ბარათაშვილი ძალიან გაგვიწამებდა:

თუ თქვენ იმას ვერ დაიჭერთ, ძნელია ჩემი დარჩენა.

ათი-თორმეტი ყაზახი გასწევს თრიალეთისკენ.

კოდაზე რომ შემოვიდნენ, წინ იქ დაუხვდათ არსენა:

„ღრასტი ზნაქომ, გავიშარჯოს; კუდა იღოშ, საითქენა!“

— „ჩვენ შენი ჯავი არა გვაქ, მივიღებთ მარაბდისკენა.“

ერთი ბიჭი გამოგვექცა, სახელად ჰქვიან არსენა,

თუ ვისმე კი გაეგონოს, გვიღდა იმისი დაქერა.“

ეს რომ არსენამ გაიგო, ჩაიცინა ნელა ნელა.

ნაბადი გვერდზე მოიგდო, თოფი ფეხზე შეაყენა;

ჯერ რომ თოფი დახაზა, მერე ხმალი შეაშველია;

ათი-თორმეტი ყაზახი სულ ცხარეებით გადმოიღვნა.

თელეთის ბოლომდინ მოჰყვა, სომხეთში არ გააჩერა

„ნას კაციოშ“ მიაძახა: „თავდ გახლაყარ არსენა!“

სულ უკან იხედებოდნენ: „აღარ მოგვდედეს არსენა.“

ქალაქში რომ ჩამოვიდნენ, თავის ღურის მოახსენა:

„უზარბაზნოთ არ იქნება თქვენი არსენას დაქერა.“

ან არის მდევი, ლომ გვირი, ან არის რკინის მკერეტელა.

თუ ჩვენგან არ დაიჭერებ, ნეტავი მარტო გაიქცენ!

რომელსაც ხელი მოგვკცია, ფეხზედ აღარ დაგვავენა.

ექვსა თოფები წაგვართო, სულ მიწვეით დაგვიტყნა.“

ეს რომ ზაალმა გაიგო, ორთავ თვალით შექნა ცრემლი:

„ნეტავი კაცი მაჩენა იმ არსენას დამტყერა,

ოკრო და ვერცხლი ვაიჭყო, რა ფულები ამოტყელა!“

აღმასის წყალზე ურეებს აწვევინა ბედისწერა.

გამართო ადლი ხახამს, ოთხს კისერში წაადგნა:

„თუ კარგად იმას არ დაიჭერთ, გაუწყლომით ხენა და თესვა.
ძალთ გაქმევე ღორის ზორცსა, კეფაზე დაგვასამთ წვენსა,
თუ იმას არ დამტყერებთ, ქართულთა დაგვარსავე წვერსა.
ჩამოხვიდოდით ქალაქში, ყიდულობდით ფარასა ქრელსა,
ჩამოხვიდოდით სოფლებში, ლამაზათა ჰკახავთ ცხენსა;
ქვრივსა და საწყალს გეცულებთ, ნამეტნავთ პატარა-
ლებსა.“

მათი ადლი რომა ნახა, არსენას არ დაუფლესა,
გატეხა და გადაადლო: „ფუ, გამქელი გაუწყლესა!“

შინდის ჯოხი გამოუტრა, რომელიც რომ ძეგლი თქვესა;

შეიღ მტკავლით გაუწომა: „მისხალი არ დააქლდესა!“

თუ ამითი არ გაქცეოდნენ, ვაი დელი თქვენის ღმერთსა!

საცა რომ შემოგვეტრებ, სუფეველს გამოუტრა ყელსა!“

იმ საწყალმა ურიებმა სულ კანკალი დაიწყესა:

„ჩვენ რომ ამითი გავყავოდით, რალა დახლი დაგვივლდესა?“

ისევ ჩვენი ფართალი იმ ჩვენ ღუნებში დაღუბნა.

არსენა რომ დაიბადა, ჩვენი საქმები წახდესა!“

— „სახალსებ მიმეიდეთ, იმ თქვენი დედ-მამის მზესა!“

არა ღირდა ორ მანათით, ერთ თუნათი დაუფლესა.

მაშინ ჩვენი არსენაი თითო მუშტებს წაადგნა.

დახედე, სახალსებს სულ ტყელიად წაართმევსა.

კიდეც იმას ეუბნება: „თქვენ ჯიბეში ფული ძვესა;

ურიავე, ფულები მამე, ეიცი საგდით მამინდესა;

ის საწყალი ურიები დაეციონენ ერთმანეთსა:

„მეო, ე ფულად ვაიჭოთ, ეგებ ცოცხალს გავიშვებსა.“



მოსტაცა ბატონს მოაზღე, ახალციხეს გადუშენა,
ჩაითს ცხენებ გახადა, სხვა ფარები შეუტყრა;

ამოილეს და გადუღდეს, თხუთმეტი თუმნის ოდენა.

ხუთი თუმანი აიღო, ათი უკან გადადგენა.

„ოლონდ დავეცხენ არსენა, გამოვაცხოზთ სეფისკერსა,

ქართულთა დავინათლებთ, კარგა დავიპასხათ წვერსა,

ძალათი ვკამო ღორის ზორცს, ზე თავზე დავისხათ წვენსა!“

გზას სომეხი მოდიოდა, არჩენიათ ნელი-ნელა;

არსენა რომ დინახა, თავქვე ცხენი დააქნა.

წინიდან წამოუარა: „საით მიზარბანდებთ თქვენა?“

1) შეიღწიო—აბრეშუმის ქსოვილი, ჩვეულებრივ წითელი ფე-
რისა, რომელსაც ქალის პერანგის ამაზნავად ხმარობდნენ.

2) მარბდა—სოფელია ალგეთის პირად, არსენას სამშობლო.

მე ქულაჯა გაიბადე ეს სეკა!) ჩაიციე შენა".
ის ქულაჯა წამოიხსა და ბეჭები დაიმშენა.
ცხენი გრილში დაბაძა, თავათ იქაც მოისვენა.



ჭურ რომ თოფი დაახალა, შერე ხნალი შეაშველა;
ათი თორმეტი ყასაბი სულ ცხვარივით გამოადგნა.

II

ბრძანება შემოეთვალათ (თბილისიდან უფროსებსა):
„ერთი კაცი ავრე ჩადის, ათასი რას შიძლება?
ასი ოქრო გაუჩინეთ, ეინც არსენას დაიჭერსა.“
კარახტინები?) შეუტყეს, ლეკში?) არსად გავიდესა.



შინდის ჯიბი გამოუტყრა, რომელიც რომ გემლი თქვენს;
შვილი მტკავლით გაუხომა: „მისხალი არ დააკლდესა“;

„თუ რო ლეკში გადავიდეს, ყარალობას დაიჭერსა.
ყარალობას ვინ დაიჭმის, თბილის-ქალაქს წავგიზიდნას!“
გაუწყრა მალალი ღმერთი ფარსადან მოდბისხველსა:
ნაჰლიმად მოიკიდა, მაგრამ ის ულაღატებსა.
როცა შირაქში დაიხება, თრიალეთს აისხამს ცხვრებსა.

1) თქვა—თქვა-ნაბადი, ზული.

2) კარანტინი—ადგილი, სადაც გუბებს შეყვრენ ზოლზე მგზავ-
რების გასაჩერებლად სენის დროს.

3) ე. ი. დაღესტანში.

თაფარავანის ტბაზედა წინ არსენა დაუხედესა:
—„არსენე, ვეთაყვიანები, რატომ არ მოდიხარ ჩვენსა?“
—„მოლაღატე, ნათლიმამე, მიტომ არ მოვდივარ თქვენსა.“
—„არსენ, როგორ გილაღატე, სამი შვილის მომნათ-
გულესა,

ჩემის მირონის მომღებმა!“
ძირს დედამიწას ჰფიცავდა და მაღლა ზეცაში ღმერთსა.
მამაში სთქვა არსენამ: „მირონს როგორ დამიჭკევსა?
მოიტყუილს არსენა, ტბილის ღვინით დათვრესა;
აი ლამაზი ღვინითა, ის არსენა დაგვითვრესა;
შემეწეარი და მოხარშული წინ ტაბაკით მიართვესა.
დამთვრალსა და ქალიშვილსა ტბილი ძილი მოუწდესა.
იარალი იყარა, ნათლიდელს აბარებესა:
„ზევალ თუ მშვიდობით გათენდა, აღრიანთ დამეპირდესა“
იალუჩი და ბალიში საჭაროზე მიართვესა,
ათი-თორმეტი მეცხვარე თავმძიმესა დააწვესა.
ზედ ტყეები წააფარეს: „არსენას არ შესცივდესა.“
ამ მამამალს ფარსადანსა გუბებაში არ უძევსა.
შუალიმე რომ შეიქნა, თავის ამქარში გასწვესა.
არსენამ წამოიწია, შეივდრა მეუფესა:
—„ე მამამალის ტიელი, რა ბუზები მასხდეს ესა?“
ათსა ავრე წამოუდგა, სულ მუშით დამატრევს ყბებსა:
მეთერთმეტე, მეთორმეტე არსენს უკრავნ ხელსა.
ისე მაგრა გაუჭირეს, ფხილგეში სისხლი გასწვესა.
„ნათლიმამე, ნუ მოლაღატე, ნუ ჩამაგდებ მტრების ხელსა.
ათასწლით სიკვდილი სჯობს იმათ ხელში განსაცდელსა!
მე მოლაღატე, ნათლიმამე, იქ რას ეტყვი მაღალ ღმერთსა?“

ჩემს მავიერ სამართალსა ღვთისმშობელი გავიჩინსა.
ნუ მოლაღატე, ფარსადანო, ნუ ჩამაგდებ მტრების ხელსა,
ორას თოქმანს აქ ვაჩუქებ, სამას თოქმანს გომარეთსა“.
ფარსადანს ასე ეგონა: ჩინს მომეცენ, ტემლაკებსა.
ეს არსენა ცხენზე შესვეს, ძირს ფეხები გაუჭრესა:
„ბიჭო მარლია არსენა, გზაზედ არსად გადმოხტისა“.
წამოიყვანეს ქალაქში, თვლიდგანა ღვთისა ცრემლსა.
მთელი ქალაქის ბიჭები მტრედის გუნდით დასდევსა:
იმერლები იხაზიან: „კი, კი, კი, კი, სადა თქვენსა!“

სომხები გაიძახიან: „ლავე ბიჭი არის ესა!“
ოსები კი იძახოდნენ: ხორხუ, ხორხუ არის ესა
რუსები: ოჩენ ხაროში, ეიბოლუ მალადეცა!
ბებრები გაიძახიან: „ახ ნეტავი დედა შენსა!“
პატარალები იძახიან: „ნეტავი შენ მელულესა!
ნეტავი იმის კისერსა, ვისაც გადაუხვევ ხელსა!“
მეგარი ბორკილი მიაქვს, თორემ წვრილებს დაამტვრევს
ჯილის ტოლა თვალები აქვს, მტერი რაღას დააქლებსა.
მოუბრუნდება არსენა, კამეჩივით შეუბღერვსა:



წამოიყვანეს ქალაქში, თვალთან ღვრიდა ცრემლსა,
მთელი ქალაქის ბიჭები მტრადის გუნდით დასდევსა:

— რას მიპირებ, ნათლი-მამე, თუ წაუვლ ამთ ხელსა?
თრიალეთში ცხვარს გაგვიწყვეტ, მინდორში დაგვიწვავ ძნებსა,
მირონსაც აღარ დავეძმე, ღორივით გამოჰჭრი ყელსა!“

იმ უფროსის კარგებუდა არსენა მიიყვანესა.
ფარსადანს გაუჯავრდებდა, თავსა და პირს დაამტვრევსა:
„შე წუწყო და მამაძალო, რათ იტყვი ე მეგ ტყვესა?“
ერთი გაეპრდნოლი კაცი ტყეში ეფარება ხესა!“
არაფერი არ აჩუქეს ფარსადანს იმის დამტყრსა.
ფარსადანს ასე ეგონა „ჯამაგირსაც გამოიჩენსა“.
იმტელი მამა უცნობდა, რამტელიც იმას მისცესა:
ერთი ოთხიოდ პანტური ამოჰჭრეს და გააგდესა.

უფროსმა ნახა არსენა, ძალიან შეიბრალოა:
„რა კარგი ვეცაცი იყო, ზეხურო ჩამომხმარაო!
რაც შენი ამბავი მომდის, რათა ჰქენ, ჩემო არსენა?“
— „მე არც ერთი არ მიქნია, სულ ტყუილი მოგესცენა:
მართალია, გავარდნილი დავედილი შვირ ველი,
მაგრამ მდიდარს თუ ვართმევდი, მიეყარა ღარიბის ქვეა,
დანაშაული ესა მავქს, ნება თქვენი ასრულდესა“.
არსენას ხელი შეუხსნეს, ფეხში ბორკილი მისცესა,
იმ ნარიყალა (ციხეში!) ის არსენა შეაგდესა,
შვიდი კვირა და შვიდი დღე იმ ციხეში აყოფესა;
საკიბორით გაამწყესეს, ცალი წვერი მოჰპარესა.

მაშინა თქვა არსენამ: „ვაი დედი ჩემის ღმერთსა!
მე რომ ამ ციხეში მოვეყდე, ბიჭობას ვინ დამიდგება?“
იმ ადოცრებს შეეხვეწა: „იმ თქვენი დედამის მჯესა,
აბანოში ნაჩვევი ვარ, ტანზე ჭუჭყი მაწუხებსა;

წამოიყვანეთ აბანოში, მისი დარდი არ გამყვება“.
წაიყვანეს აბანოში, ყარაულები მისდევსა,
ერთი საწყალი მანათი არსენას ჯიბეს უდევსა,
ამოიღებს, გადაუდებს მიკიტანს და სირაჯებსა:
— „ამის ოტკა ჩამოასხით, მისივით შვირ სალათებსა“.
დახედ, ის მიკიტნები შეგობრათაც გაუწდესა;
სირაჯმა და მიკიტანმა თვალი უყვეს ერთმანეთსა:
სალათებს ოტკა ჰჭონით, ჩუპით რომ ჩაუსხესა.
ისე დათერნ სალდათები, ვერა სცნობენ ერთმანეთსა.
აბანოს კარზე მივიდა, შევიდა და შეაღებსა,
უკან მიკიტანი მისდევს, ჯიბეში ქლიბს ჩაუკვდებსა.
მაშინა სთქვა არსენამ: „ჰა დიდება მოუჰაღესა!
ჩემი საქმე არის ესა!“

აუზებთან რომ მივიდა, აიწვეს და გადაბტესა.
მიდგა ეს ჩვენი არსენა, ბორკილს ხეხვას დაუწყებსა,
ყარაულებსა ჰჭონით: „აგურით იხებს ფეხებსა“,
აქეთ-იქით შემოხეცა, გადასწევს და დამტვრევსა.
ფეშტამლები!) დაახვია, რაღა-რუტს არ დაიწყებსა.
გატება და გაღმავდო: ფუ, გამქელი გაგიტრესა!“
ამ ხანად მდლის უფროსი, აბანოში შევიდესა,
აიყარა ის შინელი, მალა ბალკონზე დადებსა.
გამოვა ჩვენი არსენა, შინელს გაუგდებდა მხარებსა:
„ენახო როგორ მარგებს ესა?“
რუსულ ჩეჭმებს ჩაიცვამდა, რუსულ შლაპას დაიდებსა;



მოდგა ეს ჩვენი არსენა, ბორკილს ხეხვას დაუწყებსა
ყარაულებსა ჰჭონით: „აგურით იხებს ფეხებსა“.

კარგში რომ გამოვიდა წინ ღირინჯსაც გაიკვდესა;
შემოხედა ყარაულებს: „ხაბარდა და სტარახეთი!“
სუყველა ყარაულემა, არსენას გზა დაუდესა.
იმათ ბატონი ეგონათ, ეს არსენა გამოიძერესა.
პატარა გამოიბრა, თან სიცილი აუტყდესა.
მეიდანზე გამოვიდა, მოაძახა მედროშესა:

1) ნარიყალის ციხე თფილისშია, სოლოლაკის ფაქს, მტრით
წოდებული ბოტანიური ბაღისკენ.

1) წინაფარი არდგი.

„ფაქტლევ დროშა მომგვარე, თორემ ცხენებს დაეჭრი აელსა!“
რომილიც კირგი დროშაა, ის არსენას მიათარეს.
დაუჯდა ბიჭი არსენა, გულდა დამოყნის გზებსა.

III

ქუშისის მთაზე გადადგა, — ბიჭი მოუძღვის სიღვდრსა.
არსენა რომ დაინახა, თქვა: „ღიღებო მოწყალესა,
ჩემი საქმე არის ესა!“ თავდაბლა მოახსენეს:
„თუ უკაცრავად არ ვიყო, დედი, ჩამოპარანდი ცხენსა!
მე ტყვე ვარ გამოპარული, არც მე მატყენს ეგ ფეხებსა!“
დახუტ, იმისი სიძე ხანჯალზე დაიდებს ხელსა:
„გასწი იქით, გამეცალე, როგორ მოგცემ ამ ჩემ ცხენსა?
ხელწიფის გზაზე მიხედები, — ეს კაცი არ გაგაიღვდესა!“
მან ჩვენი არსენაი კამეჩივით შეუღლევისა:
„მოგბრუნდები, შემოგვრავ, სუ მუშტით დაგიმტვრევ
ცხენსა!“

რალა ბერტი მოგახსენო, ხელი სტაცეს ერთმანეთსა.
არსენა ლონჩირია, იმ ბიჭს ქვეშ წამოიღვდესა.
ორი მუშტი რომ შემოჰკრა, ყარფუხვითი დააბნეესა.
დღდაკაცი ეხვეწება: „ნუ მომიკლავ ჩემს სიძესა,
მაგ ჩემ ვამოცხვარ ნახუქებს ღმერთი ტბილათ შეგარ-
გებსა!“


ცხენიც იმას დაულოცა, ზურჯინსაც გაატანებსა.
— „ღეღე, დედა-შვილობასა, შენ ნუ დამიწყველი გზებსა!“
ის ღღაკაცი ლოცუვდა: „ღმერთმა მშვიდობა მოცუესა,
სადაც წამანდ-წამოძანადე, არსენა გაგიმარჯუდესა!
მძღარს ართმე, მშვიტის აძლევ, ღმერთი როდი წაგა-
ხედესა!“

პატარაზე გაიარა, ზურჯუნს ჩხრეკს დაუწყებსა:
ცალ ზურჯინში ტიკტურაა, ცხრა ნახუქი თავსა ძეგსა;
ცალგნით ორი ქათამია, ინდოური თავსა ძეგსა.
დაჯდა ეს ჩვენი არსენა, ლამაზათ ქვიფსა სწევსა.
ერთი სოხითელი ბიჭი ქალაქსკენ გამოსწევსა,
ორი მწვითი აჩუქა, ორ სიტყვას დააბარებსა:
„ეგ უთხარი ქალაქში მიკიტნებს და სირაჯებსა:
არსენა რომ დაიჭირეს, ქვეით მოდიოდა დღესა.
მდიდარს ართმე, ღარიბს აძლევს, — ღმერთი როგორ
წააბდესა?“

სადაც თათრის დაინახავს, ზურ და ვალსა¹ აძახებსა:
სადაც ტიტველასა ნახავს, თავის პერანგს ჩააცმევსა.
ორ ციხარზე იმ ბებერსა ისევ გაუჯავნის ცხენსა.
ერთი თუმანი აჩუქა, რაც რომ ნაღი გაუცვდესა:
ბებერიც ამას უთვლიდა: „ღმერთმა მშვიდობა მოცუესა!“
სამაღლოს ლექანზე მივა, ფილაბეს ცხენს წართმევსა:
„თუ უკაცრავად არ ვიყო, მაგ ცხენზე აიღვე ხელსა:
მე ტყვე ვარ გამოპარული და ქვეით ფეხებს მატყენსა!“
მეჩინიბეს ეუბნება: „უნაგრიო სადა ძეგსა?“
— „უნაგრიო და ლავამი ორთავე თავით უძევსა.
ცხრა მოსათავს თუ მოუჭერ, თორემ ოთხ-ხუთ გაგიგლეჯსა,
ლიტრა² ადუღის თუ ამოსდებ, თორემ თავსა წაგართმევსა.
— ბიჭი არსენა მოგიცუდეს, თუ ცხენი გადმომაგდესა!“
გადაჯდა და გამოსწია, გამოუღდება მიწდერებსა.
— „უახაზში რომ გადავიდა, ემსახურა თათრის ბეგსა.“

„ამათ რაჯულზე ვერ დადგები, მე ხომ ვერ მოუშვებ
წვერსა;“

იქიდანაც წამოვიდა და სოხითში გამოსწევსა.
ორი თვის გამოსაველი გამოირბინა ორ დღესა.
იქ ჩავიდა ქიზიუშია, ნათლიმამს მიაგნესა.
ბოღბისხევეში რომ შევიდა, სულ კარები ჩაკეტესა.
ეს ფარსადანმა შეიტყო, იმისთანა თქვენსა მტერსა.
მეტის-მეტის ჯავრისაგან ადგილზე აღარ დადგესა.
ძმებსა კაცი გაუჯავნა: არსენა არ მამარჩენსა.
მაშინ ფარსადანის ძმები არსენს გადადებენ ხელსა:
„გვაპატივე ფარსადანი, რაც რომ უნდა გაგვიღვდესა.“
— „ვიღრმე ფარსადანს არ მოეკლავ, გული როდი გამი-
ძლევსა.“



არსენა რომ დაიჭირეს, ქვეით მოდიოდა დღესა,
მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, — ღმერთი როგორ წააბდესა?

მაშინ ფარსადანის ძმებმა ოსტატობა იხმარესა.
ერთ უადგილო ალაგას დიდი ორმო ამოსტრესა;
ის საწყალი ფარსადანი შიგ ორმოში ჩაადგესა,
ზედ ფიცრები წააფარეს და მიწა დააყარესა:
„თუკი არსენამ მოგასწრო, ცოცხალს როდი გაგიშვებსა!“
ორი დღე უყარაულა, თვალს კი ეგრად მოასწრესა,
მესამე დღე გათენდა, მაშინ პირჯვარს დაიწერსა:
„თუხმებტ წილს ყაჩაღთა ვარ, კაცის ცოდვა არა მიცესა,
ეხლა მოგვლა ნათლიმამა, ბოლოს სული წამოწყდესა!
გამოპარანდი, ნათლიდევსა!“ ხელში მოკიდებდა ხელსა:
„გამოუშვი ფარსადანი, არას ვერჩი არაფერსა;
ვაპატივებ ნათლიმამას, ჯერ მირონს და მერე ღმერთსა,
ფარსადანს მინც არ მოეკლავ, თუ გინდ რომ წინ დამი-
ხედესა!“

IV

ღვთაებობის მაღლი გწყალობთ, მარტყოფის თაფში
სვენია;

იქ იყო მისი დღეობა, თითონაც გაიხელია.
სუმბათოვიც იქ მოძანდა, ის ჩვენი ქალაქელია.
სუმბათოვსა და მაკაროს თან შეეჯახა ცხენია;
ქენინებიც იქა ჰყვანდათ, ზედ გაღვებით ხელია.
როცა წირვა გამოვიდა, — იმისი მაღლი შენია, —
რო დაინახა არსენამ, პირჯვარი დაუწერია,

¹ ყარფუხი — სახამართო.

² ლიტრა — ცხრა გირვანჯანია.

იმ სუბათოეს ეუბნება: „ა, გამარჯვება შენია, ქალაქში რო შარს მოედებული, ახლა ხო მოვაყარია! მაგ შენს აბელატებზედა შენით აიღე ხელია! კენიან ეუბნებოდა: „შენი ჭირიმე, შენია!“ აიღე და გადაუღდე ეგ ოხრით დასაჩინებია. თორემ ეგ არსენა არის, ვიცი გამოგზავა უვლია; სულველა ოხრად დაგარება დროშა და შენი ცხენია. მე ხომ არსენა წამიყვანს, შენ დარჩი ცარიელია“. შინლიანებ გადმოუვდო აბელატები სქელია. წამიფინა არსენამ, გამოზრის როგორც შევლია. მაკაროეს თაისი ხმალებდა ააღებინა ხელია!

V


ორი კვირა თონეთს იყო, ქეილსაც ბევრსა სწევსა. გამეფელსა და გამაფელსა სუყველს ლეინოს ასმევსა. მეორე კვირა გათავდა, ქალაქისკენ გამოსწევსა. მთელი ქალაქის ბიჭები მტრედის გუნდივითა სდევსა. ლმერთს უშველია არსენა ამირით განსაცდელსა. საცა მივა მიკიტანთან, ყველა დაუქნევს ხელსა. ამოიღებს იმ ფულებსა, ტურ-ამხანაგებს აძლევსა: „შასანდობელი დალიეთ, როცა არსენა მოკვდება“. რაც იმას საკმე ეამბა, იმისან თქვენსა მტრისა: — „წულები ენახე სიზმრში, სისლში ვიღებამდი წვერსა. წრეულ მე ხო არ მოვრჩები, რაც რო უნდა გადაწყდესა ან თათარი მილაღატებს, ქართველი არ მომარჩენსა. ვერ დავესწრები აღდგომას, ვერ დავიკერწითელ კვერცხსა. თუ ძალათ არაიენ მომკლა, ნებით გამოგზავი ყელსა“. — რას ამბობს ბიჭი არსენა! როდი ემეტება ლმერთსა! თუთხეტ წელს ყაჩაღთ დადის, კაცის ცოდვა არ აძევსა სადაც ტრტველსა ნახავს, ჩხას იხდის და აცემვსა.

VI

მაშინ ი ჩენი არსენა ზემო ქართლისაკენ გასწევსა. დიღმის სწორა რომ გავიდა, მიკიტნებმა დაათვრესა. ბევრკი ე დააღვეინეს, ტყეში ბევრი ჩაუსხესა. მცხეთის პირდაპირ მივიდა, მუხათგვერდში ქეილს სწევსა: ის რომ პურის ქამად დაჯდა, ცხენს ბალახზე გაუშვებსა. იმ გიორგი კუპატენელსა გამჩენელი გაუწყრესა, წამოსულა კახეთიდან, იმერეთში გამოსწევსა. ამოურა არსენას, გამარჯობას ეტყვის ერთსა: „გამარჯობა“, „გაგიმარჯოს“, საღმთ ხომ ეს იყვება. „გიორგი, ლეინო მიირთვი, იმ შენი ღელამის მესა“. გიორგი შემოავინებს ღელისა და მაის მესა. „ვა შე, საწყალო არსენა, რათა ხარ შეუა თხელია? მე ღელს ლეინოს როგორ დავეცე, წითელი პარასკევია? თუ ღვრე ლეინო მიწოდეს, ჯიბეში ფული ბევრია“,

1) ვალი (ხმლისა)—ტარი,

ეს რომ არსენამ შეიტყო, მუხზე დაიკრა ხელია: „კაცად როდილა ჩამავდო, რაღა ბიჭობა ჩემია; ბიჭი არსენა მოგიკვდეს, ვერ შავიცვალო ფერია!“ გაჯგერული არსენა პირიდანა ჰყრიდა ცუცხლსა. წამოვიდა ის არსენა, იმ გიორგის დაუხვდესა: „გიორგი, საით მიდიხარ? არსენა არ გაგიშვებსა? ან უნდა მამცა ფულად, ან შენი ცხენი დამჩრესა!“ გიორგი ეუბნებოდა: „ნუ გგონივარ ზოგ-ზოგები, შენ რომ მოკიდებდი ხელსა; ლეის პარდაპირ ვიყავი, ოცი ტყვია მომარტყესა: ორმოცი ტყვია მომარტყეს, ვერაფერი დამაკლესა!“ მაშინ ჯგერდა არსენა, ხმალებდ მოისვამდა ხელსა. პირით რომ ვერ გაიმეტა, უთით გადაკრა ცხენსა. ხმალი ვადაში! გადუტყდა, ის ცარიელი დარჩესა. მაშინა თქვა არსენამ: „ღელს მზე დაბნელდა ჩემია! ვახ, როგორ დროს მილაღატე, გაიწყრეს გამკედელია!“ შემოქენა გიორგამ, მოსჭრა მარჯვენა ხელია! დაღონებული არსენა ცხენიდან გადმოვარდესა. ცაია ხელით ხანჯალსა არსენა მოისვამს ხელსა; ცოტა კიდევ მიაწვდენდა ბარბაყენდაც ხანჯლის წვერსა, ცალი უჭრი ჩამოთალა, ლოყახედაც მიჰყოფს ხელსა: „ვერ გაგიმეტე, გიორგი, ვიი დღიერმის ღმერთსა!“ ერთი ლეის ბიჭი ჰყვანდა, იმ გიორგი კუპატენელსა, — ბეჭებში ტამბახა დასცა, პირში ბოლი გაყარდესა. დაღონებული არსენა იიწევს და ვერ ადგვსა: — „რახან მომკალი, გიორგი, სიტყვა მაირც დამკალდესა; ჩემი შეიდასი თუქანი, კასპში ერთ დიდს კლდეში ღდესა; ღარიბსა, არას მჭონებსა, მიეცეს და მოხზარდესა“. ამ სიტყვას რომ გაათავებს, არსენა ძირს დაეცესა. მცხეთელებმა რომ გაიგეს, თვალიდან ცრემლი ჰყარესა. ზოგი წყაღში გამოვიდა, ზოგი ხილზე მოიბრუნესა. ომელაშვილი არსენა ზედ ბორანზე დაუდგესა, გაიყვანეს მცხეთაშია და ანდრბი აუღესა, მარშალილოს ქვა გათალეს, დასწერეს და დაადგესა: „აქაც აქი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა!“



მარშალილოს ქვა გათალეს, დასწერეს და დაადგესა; „აქაც აქი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა!“



სიმაღარა პრეზულ ახანაგაჲ.

ბარაოების სიმაღლეზე იდგნენ ისინი.
მთი მარჯვენა მდლიანი სწრაფად ელაგდა.
ქვეით პარიზი უდარდელი ხარბად ელაგდა,
სასტიკი ქარი ტრიალებდა ავი სისინით.

იყვნენ ისინი სილარიბის, შრომის შეიღებით.
და ეცეთ ტანზე დახეული მთ ნაფლეთებით.
იყვნენ ორივე მთელი წლობით ნაშეშოლებით.
ღიაბ ცხოვრობენ დიდებულად შემოქმედებით.

ძვირებს სასახლეს აშენებდნენ ამხანაგები,
მაგრამ მოჰქონდა ქარს ზიანი და დაბრკოლება:
სასტიკი არის მჭერილი ქარის გამოქროლები:
ხარაზის დაფებს იგი არხებს მეტ გაშვებებით.

კიდევ დაბერა. ყველაფერი ჩასცივდა ქვეითი.
და შეუღისათვის ლავგარდანი დარჩა ნივინითი.
იმას ორივე ჩახეუტა საოცარ რხევით,
იხე, ვით ანძას ეხუტება მცურავი მკერივი.

აგი გრიგალი გახელებით, კენესით გრიანებს.
სიმამისაგან ლავგარდანი იწყო ნივარდი.
მუშეების ქვეით თვით ქვესქელის ფსკერი
ტრიალებს.
საკმაო არის მოძრაობა, რომ გადავარდო.

წარმოსთქვა ერთმა: ჩვენ საშველად არ მოვლენ
ჩქარა,
ჩვენ კი ორივე ვერ დავექვით თავს დიდი ხანი.
იქნებ ლავგარდნს დავექვით ერთი ჩვენი,
ო, დაწყებდით! — ილენება ის წარა-მარა!

უთხრა მეორემ: „მეავეს ოჯახი: — მათი ბედია,
მე რომ მაჩერებს“. და პირველი ამბობს იქვე:
— მე კი ერთი ვარ, არჩევიან აქ ზედმეტი.
აბა, მშვიდობით! თავი მაგრად შენ დიკავე!“

სთქვა და ერთ წუთში დაიღუპა გმირულ ზეარაკით
ტალახში, ქვაზე დახეუტა თავი და გული.
მისი სახელი არ გახსოვდა სალაპარაკოთ,
მაგრამ ის იყო ამხანაგი წმინდა, ერთგული.

იოანე შერა.

ნიუ-იორკის სურათები.

ზღის ლურჯ სივრცეში უცერად წამოიჭრება უხარ-
მარაი რაღაც. ვერ გამოიკნობ მთებია თუ ერთმანეთზე
შეშხლარი კლდეები. ქვის ტანს მიტმასნენია კოლონების
აჭილი კოშკები, ფერდობები. გადაჯგაფდნენგზლან
გეომეტრიული ფიგურები. ყველაფერი ერთად წარმოად-
გენს მოკეთილო და რუხეს, ზოგან წაშვეტილ და ზოგან
ბეჭეტილი საშინელ ქაოსს. მაღლა კი — თეთრი კვალი,
როგორც მთის მწვერვალზე გადაკარგული ღრუბელთა
ტლაა.

ეს ქალაქ ნიუ-იორკის ქვემო ნაწილია, რომელიც
პორტან მთაბოვებისთანავე თვალწინ წამოგვეჩრებათ.
შთან დღეებში შენობები თითქმის იწვიან უამრავ ფან-
ჯრის თვლებით. ბინდისას ისინი მსუბუქი, პეროვანი,
აბა—რეალური, სვედიანი ხდებიან და აქა-ქა ინთებენ
მსხვილ მარგალიტის თვლებს. ღამით იგი შავ კარდონის
ერთ უდაღეს კედლათ გვეჩვენებთ, რომელშიაც ათასობით
გამოქრთილი ყვითელი, შიგნიდან განათებული ოთხკუთ-
ხედი. და გვიანებათ კედელი ზღვისავე იძვრისო.

გალხობარ ნაპირზე და იმ წუთშივე მოჰყვებით გა-
მოქმადლთა ლავირითოში, ხეიმეტრულ სართულთა —
სახლეს შუა ქუჩების ძალზე ეიწროა, თითქმის ქვის ქაოსი
ფილავს გიგანტურ დანით დასქერავს. თავს მაღლა სწევით
მაგრამ შენობების თავს თვალთ ვერ სწვდება, რაც უფრო
წინ იწევით, მით უფრო გიხლოვდებიან სახლები, უფრო
და უფრო მკიდრით ეკვრებიან ერთი მეორეს, უფრო მე-
ტად იწვიან ცისავე. არის რაღაც მრისხანება, შეუბ-
რალელობა, თითქმის სტიქიური რაღაც ბერძნის და
ჭეძის ასეთ მძელ შემოტევაში. თუნდაც მზე ანათებდეს,
ქუჩები მაინც ბინდია.

აქ business-ის სამეფოა. აქაა ლოლ—სტრიტ,
ნასსუ-სტრიტ, ბირჯა. აქაა უდიდესი კონტორები, ბან-
კები, ადვოკატების ფირმები. აქ საქმიან ნიუ-იორკის
სეზუელია.

ნიუ-იორკის უმთავრესი ნაწილი მოთავსებულია
კუნძულზე. კუნძული გრძელი, ეიწრო, ენის მზგავსია. სი-
გრძით ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ოცდა ხუთი ვერს-
ტია. ერთის მხრით კუნძულს ახლავს გულზონი და ორ
სხვა მხრიდან — ოკეანე. გულზონის და ოკეანეს იქით გა-
დაშლილან თვალწევდნენ გარე-უნებები, რომელთა თათე-
ბი სულ შორს და შორს იწვებს. ძირითად ნაწილს — კუნ-
ძულ მანგატრანს — ვასაქანი არსათი არა აქვს. ერთი გზაა
ცისაკენ. და ამიტომაცაა ცისაკენ რომ იწვევენ მრავალ-
სართულიანი შენობები.

რაც უფრო მეტს მიიწევთ სამხრეთისაკენ, სადაც
საბაგოა, მით უფრო მაღლებიან შენობები, ეიწროვდე-
ბიან ქუჩები და უფრო სასტიკია შენობათა ძალა. აქ ადამი-
ანის სადღაც მიკარგულია. აქ მოძრაობაც მეორე ხარის-
ხიდან რამედ ქცეულა. თორმეტსა და პირველ საათს შუა
ქვის დღეები გადმოფურცობენ მთლიან კაცუნებს, რომ-
ელთაც საშველით უნდა დასტენონ თავისი ფიზიოლო-
გიური მოტორი. ქუჩა შავად იღებება ამოდენა ხელით,
ფეხით, ქელით, ტანით. ყველას ეჩქარება, თითქმის მთი
რაღაც დაუღვამელი მანქანა ამოძრავებს. ბორბლები
ერთმანეთს ეხლემა, ურთიერთში ითქვენება, ადამიანთა
ტალაა მოგროავს და კვლავ მიგროავს უკანვე. მაგრამ
სასტეკ დღეებისათვის ეს აოაფერს არ ნიშნავს. მეტრ-
ნახევრის სიმაღლეზე მოწიდან ყველაფერი მშვიდად, მძი-
მედ და შეურუცელადაა. ქვის ტომრები ელლდებიან თა-
ვიანთ პატიმრებს. ვაიკლს ერთი საათი — და ყველა ისე-
ვე თავის ალაგება, ურაკუნებს საწერ მანქანებს, ლაპარა-
კობს ტელეფონით, აწარმოებს საზოგადოებრივ წიგნებს.
ხუთ საათზე იკივდ ბრბო ისევე გამოიღნდება იმავე ქვის
ტომრებიდან. ახლა კაცუნები გაბრან ტრამვაიებს ავტო-
ბუსებს, მიწის ქვეშა გზისაკენ, ეშურებიან საპარო გზებს,
გემებს. გარბიან თითქმის ვიღაც მათარხსა სკენს. ქვის

თანამედროვე ნიუ-იორკი.



ფიტს-ავენსო, ნიუ-იორკის მთავარი ქუჩა.

დევეები წამწამებს ჩამოუშვებენ, წელში გასწორდებიან და ისევ მისციმიან გაქვავებულ ფიქრებს.

* *

მანგატანი—კუნძულია. სამხრეთ ნაწილში, სწორკუთხედზე სიგრძით ოთხ ვერსტით და $\frac{1}{2}$ ვერსტი სიგანით, თავი მოუყრია უმთავრეს ნავისადგურებს, ქარხნებს, სანაოსნოებს, ჰოტელებს, ფირმებს, უნივერსალურ მაღაზიებს, რედაქციებს, სასამართლოებს, მუნიციპალურ გამგეობას, ბანკებს. აქ ამ სწორკუთხედში, მუშაობს შეიღმილიონიან ნიუ-იორკის მოსახლეობის თითქმის ნახევარი ნაწილი. დილით, შეიღმიდან ცხრა საათამდე ყველა ეს მუშაქანი ქალაქის ჩრდილო ნაწილიდან და გარეუბნებიდან აქ უნდა დაგროვდნენ. საღამოს ბუთიდან ექვსამდე მთელი მასა სახლსაკენ მიეშურება. რაღაც საათ-საათ-ნახევარში ქალაქის ტრანსპორტმა მლიონები უნდა გადასიღონ.


ჩადით ქვევით, ქვესენელში, „სობების“ (მიწის ქვეშა რკინის გზის) სადგურზე. უდიდესი არე დაბალი ქერიოლანდე ბუფტევენ ლამკები. პერრონი გაშვებულია ხალხით, ხალხში ვერ გახვალთ. პერრონი გრძელია—შეიღვეგონიან მატარებლისთვის საკმარისი. ხალხი კიდესთანაა ლიანდაგს ეყვრის. უკნიდან აწევნა ახალი ბრბოები. უზარმაზარი დარაჯები იცავენ წესრიგს. რკინით, ტყვიით და მტვერით გამსჭვალული პერი სქოლდ იზნიქება. იი პერრონი ამაგადაა. ველუისის ბღავილით, გრავიწვით, ყურთა სმენის დახშობით და ასფულიან რკინების თავზე მტკრევით, შემოვარდა, მატარებელი. გაჩრდა. დაიჭრია—ლა კარგმა. შებრძანდით! მაგრამ ვაგონები საესეა. სეა-მები დაკავებულია, ზურგა—ზურგზე, მხარი მხმრთან, აღმანის ტანის გაუთავებელი მასა. შეუძლებელია ხელის მოძრაობა კი. ვერ მოტრიალდები. როგორ შე-

ვალ? ხალხი მიინც კარებს აწევნა. მგზავრთა ლეგიონებში კიდევ შემოიჭრა ახალი ბრბო. უკნიდან აწევნიან გოლაითი—დარაჯები. ჩქარა! მზათაა. იხურება კარები. ვიძვრით ადგილიდან. მატარებელი ტონელში იმალება. ნახევარ წამის შემდეგ მეორე მატარებელი იჭნება, ერთ წამის შემდეგ—მესამე და ასე. თუ თქვენ გყოფნით მოთმინება, აიღეთ ჩქარზე კი არა, სამგზავრზე. ჩქარი ყოველ მეხუთე სადგურზე ჩერდება, სამგზავრო კი—ყოველ სადგურზე. მაგრამ არც ერთი პარტოსანა ამერიკელი არ ჩაჯდება სამგზავრო მატარებელში. როგორ შეიძლება მან რომ სამი წუთი დაჰყავოს.

გუფუნებს მიწის—ქვეშა მატარებელი, ბრბო აწევნა, აღამიანები ოფლში ცურაობენ, მგზავრი ვაგონის ქამარს ჩამოკიდები. მიწის ზედა პირზე, საპაერო გზის სადგურებზეც იგივე ვიწროობა, ხმაური, რკინის ყვირილი, ლითონის კენესა. ბრბო მდინარეების. შვე ლენტებით მოდებულან მთავარ ქუჩებზე, ერთის ყოფით სხედნიან ტრავეითში და აესებენ ვაგონებს, დაკიდულან მაქანზე, ერთმანეთის სახეში ორთქლებენ ცუდათ გადახარშულ იაფ საქმელს, შესცქერაან ერთი მეორეს გამომეტყველები—დაკარგულ თვალებით.

ქალაქი კი ხნებს იძლევა, როგორც გიგანტური დაბდაბი. მიწა იძვრის, როცა მასში მიდის „სობები“. კანკალბი ბოძები, რომლებზედაც გაყვანილია საპაერო გზის ლიანდაგი. კანკალბენ სახლები, რომელთა სიახლოვეს გადის პაერის მატარებელი. კანკალბეს ქვაფენილი დაფედვარ, მქმნავ ავტომობილებისაგან. კანკალბეს პაერი მოტორთა მართვისაგან. კანკალბენ ქვაფენილები ბრბოს სიმძიმისაგან. კანკალბენ და ორთიან ელექტრონის მავთულები. ყოველის ნერვით და ატომით თრთის ყოველი ცოცხალი არსები. საყვირების, ზარების ხმა ჰკლევს პაერს, გრავიწვას მატარებელი, ავტომურები, ფურგონები, საბარ-

თანამედროვე ნიუ-იორკი



ლამით, ნიუ-იორკის ერთი მთავარი ქუჩათაგანი.

გო ავტომობილები. გემების სირენები დღე და ღამე, უფოლ დროს არღვევენ სიჩუმეს მანგატანის ყოველი მხრიდან. კანკალებს გულზონის წყლები, ჰყენესენ ოკეანეს წყლები უთვალავ ზღვის საშინელებათა ბორბლებს ქვეშ.

სული კი სთვლემს. იგი ლეტარგიულ უმოძრაობაში ჩაიძირა. სული რომ წყალქვეშა კლდეებთან უძირო ზღვას შევადაროთ—მავინ ნიუ-იორკის სული უთოდ ვეებერებულა ცემენტის ძირიანი აუზი. სული რომ გაქანებულ მთათა ზურგად წარმოვიდგინოთ მის მშვენიერ ხანჭერთა ხმაურით—მავინ ნიუ-იორკის სული საშუალო სწორი და გაუთოებელი პლატოა. უმეტაფოროდ რომ ესთქათ (თუმცა როგორ შეიძლება უმეტაფოროდ ლაპარაკი იმაზე, რასაც სულს ეძახიან) ნიუ-იორკს არ შეუძლია ღრმა მწუხარების ან სხივთან სიხარულის განცდა. იგი მოკლებულია გულ-ლია სიცოცხლს, გახარებულ შემოქმედებას, გაცოფებულ ძიებას, იქებებისმწველ ტრეჯას. მას ვერ წარმოუდგენია გაბედულ ალტაცებით ავიდეს იქ, სადაც ყოველივე მიწიერი ირ-დილება დიდა აზროვნების სიგებში. ნიუ-იორკის სული რომ ისე მრავალფეროვანი და ძლიერი იყოს როგორცაა მისი მრავალსართულიანი სახლები, მავინ იგი შესაძლებდა კაცობრიობისათვის ახალი აღთქმის მიცემას. მაგრამ ნიუ-იორკის სული ამაყად ამართული შენობა კი არა, ორსართულიანი სადგომი სახლია.

არიან ამერიკაში ასეთი ტიპის სადგომი სახლები. ქუჩიდან ათი კიბის თვალი პირველ სართულსაცენ. ქუჩიდანვე ორი კიბის თვალი ქვემოლ სარდაფისაკენ. სარდაფის სართულში წინ მოთავსებულია მისაღები ოთახი, უკან—ხამზარეულო, სამზარეულოდან გასასვლელია პატარა ეზოში. პირველ სართულში წინ მისაღები ოთახია, უკან პატარა დარბაზი დერეფანზე გასასვლელ კარით, მეორე სართულში ორი თუ სამი დასაძინებელი ოთახია ფანჯრებით ეზოში და ქუჩისაკენ. ამერიკაში, ყველაგან

ნიუ-იორკში და პროვინციაში ასი-ათასობითაა ასეთი სახლები. ასეთი პატარა სახლები უფრო დამახასიათებელია თანამედროვე ამერიკისათვის ვიდრე მრავალსართულიანი სახლები. ეს სახლები—განსახიერებელი ზომიერებაა. ისინი შეიძლება იყოს ქვითკირის ან ხის, ლარიბი ან მდიდრული, დიდი ან პატარა, მაგრამ მისი არქიტექტურა უცვლელია. მასში შეიძლება იდგეს სულ-იფი ან დიდებული ავეჯი, მაგრამ ყოველთვის იგი იქნება ერთნაირ სტილის: საფარბლები, ისე როგორც საქანელა სკამები, პაწია ნიხები, ფარდები დი სხვა. ასეთ სახლში შეიძლება მდიდარიც სცხოვრობდეს და საშუალო შემოსავლიანი მუშაც, მაგრამ ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა დღის წესრიგი, ზნე-ჩვეულება, საქმელი, ტანისამოში, გარეობა და აივანზე დანიშნულ დროს დასვენება. ასეთი ცხოვრების შეუცვლელი კოდექსი, ტრადიცია.

იფი პატარა სადგომი სახლი, კარხნის ნაწარმოების დავით და აივანზე ჭოროქანა ბიკოლები—იი როგორია დიად ნიუ-იორკის სული, ზომიერება, იფობა, შიში ჩვეულების დარღვევისა, დავარცხნილი დღეები. სწერს ასი და ათასი რომანისტი, პოეტი სწერს სასიამოვნოდ, ხეობიანად, მაგრამ მათი გემოვნება ისეთივეა, როგორც ხუთცენტიანი საღები ტბალეული, რომელსაც აუცილებლად მოგაბრძენენ კაგ ამერიკელის სახლში. მხატვრები უთვალავ ტოლემბს აფენენ.—ავეარელ, ესკიზებს მაგრამ ფანტაზიას ღამეც არ გაუთევიათ მათში და ყველაფერში—იქნება ეს ნატურალიზმი, რეალიზმი, იმპრესიონიზმი თუ კონსტრუქტივიზმი მომეტებული სისხლანდობობაა. აურებელი პროფესორი და სტუდენტი ქმნიან მეცნიერებას და თვისებებს მას, მაგრამ არავითარ თეორიულს, კვშმარიტების ძიების ან დიად ბოძოლის ნასახს-ც ვერ იპოვნიან მათში ისინი მუშაობენ ისევე, როგორც ნიუ-იორკის აუარებელი მეკრავი ამზადებს შარვლებს და სერთუტებს. ამერიკელები განიცდიან სიყვარულს, სიძლიერს-ც, შეხარბიან ცხოვრებას, ბერდ-

ბიან და იხოკებინ, მაგრამ—ყოველივეს ზომიერად, ნახევარ-ვერწოკიან შტამპით. მათი ღმერთიც კი—იგივე პატარა სადღომი სახლია, სადაც შეგვლამდე ფეხი უნდა გაიწმინდოთ პატარა კორიდორში.

ნიუ-იორკში შვიდი მთლიანი სხვა და სხვა ეროვნების და სხვა და სხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხია. ქვეყნის ყოველი კუთხის გემი მოდის ნიუ-იორკში მაგრამ, ამა გაზედეთ უცუესსავედოდ ქუჩაში გასვლა და ყველანი ისე დაგიწყებენ ეკერას, როგორც სამხედროდ გამოპარულ მაიმუნს. ან და სინჯეთ 15 ენენისთვის შემდეგ ზაფხულის ქუდის ტარება: პირველ შემხედვრს შეუძლია ჯოხით გადაეცალოს იგი. სთქვით რამე დაწესებულ ჩვეულებების წინააღმდეგ—თქვენ თავზე დაეცევიდნენ მორიყლები. ნიუ-იორკი სასტიკია. ვინც შმალოს ვერ ეგუება მოსამბინოდ უნდა იშვას. პატარა სადგომი სახლის გაძაროთულ ბაღში დიდ ასწლოვან მუხისთვის ადგილი არაა. აქ „ბოლშევიკი“ მარტო ის კი არაა ვინც არსებულ წესწყობილების დამხობას ქადაგებს, არამედ ისიც ვინც სხვა ნაირად იკრებს თმას და ცოცხალი ხმა მალა ლაპარაკობს, ვაჭრებმა-მრეწველობისთვის და საფინანსო კაპიტალისთვის არსებობს მრავალსართულიანი სახლები, ლე სურსათები კი—აუტორმატი, რომელშიაც ჩაადგებ თუჯის მუროიანს და მიიღებ ტბილ სალეველს. ერთი საათიც რომ ღეჭო ნაჭერი უცუელი რჩება.

ღამით ბროდვეი ფერია-ზღაპრად იქცევა.

ბროდვეი—დიავნალად სტრის კუნძულ მანგატონს ჩრდილოეთ-დასავლეთიდან საზღვრო-ბომოსაგულისკენ. ზემო ნაწილით იგი ეყრდნობა მე-25მ ქუჩას და—ქვემოთ კი—ნავთსადგურს. ბროდვეი—მრავალსახიანი და მრავალჯაფიანია. ქვემოთ—გემთა კონტარები, საწყობები და საბაჟოები, ზევით—საფინანსო და სავაჭრო ფირმები. კიდევ უფრო მაღლა—სამეცნიერო სახელოსნოები. შემდეგ—ტანსამოსის, ფესკამელების, ქუდების მაღაზია. და რესტორანები. რესტორანებს უჭირავთ მთელი უბნები. ოცდამეთოთხეტე ქუჩიდან ორმოცდამეცხედმეტე—თეატრებია. მთელი უბნები გავსებულია ჩაშუკრივებულ თეატრებით. აქ, „დიდ თეატრ გზაზე“ მხიარულობს საღამოს ნიუ-იორკი.

გზა თეატრი კი არა, უფრო ოქროსია. საღამოს აქეთ მომდინარეობს მილიონიანი მასა. კაპიტალს უსარგებლევია ამ ადგილით, რათა აღიგელოს თქვენს მესხიერებაში საქონლის სახელები.

ბროდვეის თეატრალური ნაწილი—ანონსების ცეცვა. სახლების სახურავები აკრებენდნენ ელექტროს ასოებით. სასახლეს მზგავს სახლების წინაპირზე ანთებულა ელექტროს სურათები, პორტრეტები, ვერხვლები. არიან ფერად ლამაშებით ასახული მთლიანი ნახატებიც. გიჩვენებენ მთელ მოქმედებებს, რომელიც გაითამაშებს უცარ ცეცვაში ანთებული და დაქრობილი ლამაშები. აქაა ცეცხლის ყველა ფორმა, კომპინაცია და თანდათან გა-

დასვლა. ყოველივე კი ერთათ აღებული—სინათლის ვაკ-ხანალია, ანთებულ ფერადების აღვირაშვებული ქოლდა, ამბობებულ ნაჭერწყალთა ზეიმა, აურაცხელ პლანეტათა შეჯახება. შორიდან რომ გახედოთ ქუჩას—დიდი ზეიმა გვერნებათ. ბედნიერი ადამიანები სინათლის თამაშს შეზხარიანი. გვერნებათ მოჯადოებულ, ზღაპრულ ქვეყანაში ხარ, სადაც ადამიანების ათასფეროვან ცეცხლია ერთი ესაუბრებიან ერთმანეთს. და ნამდვილად კი ყოველივე ეს ნიშნავს: „მოსწიეთ თამაშო ბულ ღურგამ“; „ღეჭეთ საღეჭი პასტა ურნელი“; „ყველაფერი იყიდეთ მასთან“; „არაა მინერალავაზე უკეთესი კრემი“; „საუკეთესო გაზოლინი სკონისაა“; „ოპერელენდის ავტომობილებმა აღეს რეკორდი“; „ნათეატრებს შეიხედეთ ცეცვა-თამაშის ქვეყანაში“.

იწვის, ხტის, ყვირის, იგრძნობს ელექტროს რეკლამა. დაბლა, ქუჩებში თითქოს პროექტორით განათებული ადამიანები მიისწრაფიან თეატრებში, კინოში, ვოდევილში. სანახაობის ყველა სახლში სასევა. ყოველთვის ნაქვლობაა ბილეთის. ზოგ კინოში რიგს საათი ან საათ ნახევარი უნდა უცადოთ. ყველა სდგას და უცდის როდის გაიღებ ალთქმული კარები.

სანახაბა შექმნილია იმისთვის, რომ გაეპარო მრავალ სართულიან ღვეებს, გაეპარო საყუთარ თავს. არაა საჭირო არც პირადი, არც საზოგადოებრივი ქეშმარტება. შორს ცხოვრობის ტრადიციული სახე, რად გინდათ ის, რაც გულს დაკოდებს: გავჩენეთ ისეთი რამე სადაც, მდიდრები ნაზი გულისაა სათნოებით სასვე, სადაც ღატაკებს უყვარს ისინი.

მოგვეცით დამამშვიდებელი რამ, სადაც ქურდი და მკვლელი სწორდებიან სარწმუნოების ან კეთილ სულთა გაგლეხის ქვეშ. მოგვეცით სასაცილო რამ, სადაც სასტუმროში მცხოვრები ღამით სხვის ნომერში შევა ან მთავალი ვინაში წვება დასაძინებლად.

მოგვეცით მხატვრული ნაწარმოები, სადაც ცხოვრების ხანის ნაცვლად ფოტოგრაფიაა და—ბჭყყრიალბა ნიშნავს სილამაზეს. მოგვეცით უპირველესად უმნიშვნელო რამ, რასაც არ უნდა ფიქრი. ადამიანი დალოლია. ხვალ ისევ კანტორას უნდა მიაშურის. ყოველ ღღე კონტორაში. ღღე სასაზაბაბაშე შეუშეკინოს, დააძინოს, ტბილ ბურთულაზე გახვიოს.

ღამის თერთმეტ და თორმეტ საათს შუა ბროდვეი ყველვ გადაშვებულია. მილიან სახლში ან კაფერესტორანში. იწვის რეკლამების ცეცხლი. გივდება სინათლე. გუგუნებენ გემის ილქნები. ხუთი წუთის სიარულს შემდეგ შავი გულზონია კატრთა და ორთქლის ბორანის სხივებით. სამხრეთისკენ—ერთაში კედლით სდგანან ქვის ღვეები, ღამის საათები დაყრუებული და თითქოს საზეიმოდ გამაზღებულნი.

მაღე კაცუნები მიიმაღებიან ათავიანთ ბინებში, რომ ხვალ ისევ გაავსონ ქვის ღვეების ქვის გალიები.



წანსნასტური პაემანი.

გააღებს კარებს მაღალი სოველი ხელით;
— დღეს ჩემ ოცნებას ის მორჩილად ემსახურება—
ჩემ ოთახს ბურავს სურნელმა წარსული, ძველი,
და ჩემი სული მირაგებით დაიხურება.

დარბაისელი ის კარებთან სდგას მომომიარე,
და თეთრი თვალით მე მიყურებს მაინც თაღლითათ;
არ ვიცი რა სურს; ეს ცხოვრება ვაგასიზმარეთ...
დღეს მის ოცნებას მე არ ვიცი, თუ რა დადლიდა.

სათის ნელი, უღმობელი, ცივი ხმაური;
ორი ლანდება დაღმართებით გადმოჩხილი.
და მოლოდინი დღეს პირველი და უცნაური
და მთვარის შუქი შემოჭრილი მაცდურ გრეხილათ.

დიდი ხანია მპირდებიან სათუთ პაემანს;
ბევრმა ვადებმა გაიარა და მე ვლონდები;
ვის სურს აქ მოსვლა, შებრალება არ ეპოება.
უხსოვარ დროთა გარდასვლაში ვის ვაგონდები?

ახლა ჩემ სმენას შლიეფების შრიალი ბურავს
და ოთახს ავსებს სურნელმა, ცისფრათ ნაფერი.
ის განდევნილი ყოვანის ფრთას გადამახურავს.
მესმის გალობა ვარსკვლავებით გადმონაბერი.

მიახლოვდება; თვალის უკეს დაზღადაცემულს
ამოწებს ნელა ცივი ხელით და მომსმება:
„იხილავ სახეს სიკვდილისგან გამოტაცებულს,
შენ ბავშვურ დარღებს მისი ცრემლი გადაესხმება“.

სათი მიძიმე, უღმობელი, ნელი შრიალი
ლიბრედი შუშა, თეთრი თვალი გადმონთხეული;
მკეპარი სხეული მოღუნული, ვით მორჩილი,
და ჩემი ტანი დამწვარი და ნაცრად ქცეული.

კოლაუ ნადირაძე.

ალექსანდრა ყაზბეგი

(მოგონება)

საკვირველია ჩვენი მწერლობის საქმე, უნდათ რი-
თიმე გამოიჩინონ თავი, დასწერენ იმისთანა უცნაურს
ამაჟასა, რომელიც ქვეყანას ალაპარაკებს.

აი მეც ამაღებინეს ხელში კალამი, რომ ორიოდ
სიტყვა ვსიტყვა სანდრო ყაზბეგზე.

ერთმა სპარსელმა მეცნიერმა თურმე სიტყვა: ადამიანს
შეუძლიან გაითქვას სახელი გამოჩენილი მწერლის და
გამოჩენილს დამნაშავესო. ეს მაგონებს მიხ. ზანდუყელს
რომელმაც მთელი წიგნი დასწერა იმის შესახებ, რომ
ალ. ყაზბეგის კალამს არ ეკუთვნის მისი სახელით გამო-
ცემული დიდებული მოთხრობები, არამედ ეკუთვნის დიმი-
ტრი ყაზბეგსა, რომლის ნაწერები, როცა იგი გარდაიც-
ვალა 1880 წელს თებერვალში, ალ. ყაზბეგმა იგდო ხელ-

შო. მე არ მსურს ამ წიგნის გაკრიტიკებას გამოვეყიღო;
საკმაოდ კარგად ვააშუქა ზანდუყელის ყალბი აზრი
ვასტანგ კოტეტრეშვილმა

მე ვიტყვი მხოლოდ შემდეგს:

მე ძალიან დაახლოვებული ვიყავი და მეგობრულად
ვიცნობდი სანდრო ყაზბეგს როგორც ახალგაზღვრებაში,
ისე უკანასკნელ დროს. 1880 წლებში სანდრო ყაზბეგი
იდგა პლენაროვის ქუჩაზე, სომხების ეკლესიის გვერდით,
ზარათიშვილს სახლებში, სადაც საცხოვრებელი ნომრები
იყო გამართული. აქ სანდროს ერთი ნომერი ეჭირა. მე და
ასიკო ცაგარელი, ჩვენი დრამატურგი, თითქმის ყოველ
დღე დავდიოდით სანდროსთან. სანდრო გვიკითხავდა
ხოლმე თავისს ლექსებს, ასიკო უძებდა მე. კი უწუ-

ნებდი. არ უფარგოდა ლექსი, ხორკლიანი იყო, ლექსად არ იყო შეკრული, არც კითხმა, არც აზრი. გზაში ვეცუოდით ხოლმე ასეთას: „ბიჭო, არა გცხებენია, რომ იმ უხეირო ლექსებს უწონებ?“ ასეო მეტყოდა: „სანდროს ერთი სახლოს ძელის ხანჯალი აქვს, ოქროს ჩუქრობიანი, მინდა ის დავიკოლოვო“.

ერთხელ სანდრომ მორცხად გითხრა: მოხევევებზე მაქვს დაწერილი წერილები, ჯერ კი სულ არა მაქვს დათავებული, წაგიკითხათო.

წაგიკითხა, მოგაწერა. დაამტკინე, ჩვენი ხალხი გაიცნობს თავის თანამომე მოხევევების ცხოვრებას, ძალიან საინტერესო იქნება.

მიუტანა „დროების“ რედაქტორს ს. მესხთან, რომელმაც მოუწონა და რამდენიმე ფელეტონებად დაიბეჭდა 1880 წლის „დროება“-ში № 55-დან.

ერთხელ მარტოცა შევიდით სანდროსთან. სასამართლოს ბოჭალს აუწყებია ნომრების პატრონის ვალში მთელი მისი ქონება; სანდრო გაფითრებული იდგა. მაშინვე დაიბნეო ნომრების პატრონი, მივეცი ჩემი საკუთარი ფული ხუთი თმანად, დანარჩენი ცხრა თმანად, (სულ თითხმნად) თმანად დასდებოდა, ბარათი ჩამოვარდნივინე, მე შევბადი: ამ ფულსაც მალე მოგცემთ და ყაზბეგს სხვა ბინაზე გადაგიყვანთ, მხოლოდ ნივთები გაანათავსოვლით. გადავნივზე აწერილი ნივთები მთლად და აღმომანდა: ექვსი თუ შვიდი შექსპირის ნაწერები, რუსის მწერლებისა რამდენიმე წიგნი, თავისი ნაწერები—სამი თოთხი პატარა რვეულზე თავისი ლექსებითა. სანდროე მაგიდის ჯვრიდან აშოლავდა და ის სხვა პართა და თავისი დედის წერილები, რომელთაც ფაქიზად ინახავდა; ყველა ესენი შემაკვრევინა, ერთი ყუთი ჰქონდა, იმაში ჩამალავდნენ და მე მომბაძარა. იყო კიდევ ჩამადანი, რომელშიაც ცლაგა სანდროს საცულენი, ჩხაბა-ახალციხი და სხვა ტანსაცმელი. ეს ყუთი წიგნებით და მისი ნაწერებით მე წამოვიღე და სტამბაში შევიღანე.

თუ მაშინ, როგორც ბანებს მის. ზანდუელი, სანდრო ყაზბეგმა გასტეხა დიმი. ყაზბეგის განჯინა, გამოალავა მისი ნაწერები და მიითვისა, სად წაიღო? ბოჭალისაგან აწეროდა ქაღალდებზე და წიგნებში ის იმოღვნე მზანზარული მოთხრობებზე ხომ უნდა ყოფილიყო? უბნში და ჯიბეებში ხომ ვერ დამალავდა მოთხრობებსა? სხვა ბინა კი ნომრის მეტი მის არა ჰქონდა.

რედაქტორში უამბე სანდროს ვაჭკრებამ. მოთხრეს, აქვე ახლოს სდგას გიგო ყარანგოზიშვილი, შეიძლება თავისთან ვადაიყვანოსო. გიგო დაეპყრდა; მიუტანეთ ნომრის პატრონი დანარჩენი ფულიც და სანდრო თავის ჩამადან, რომელზედაც ზემოდ ესთვიე, გადმოვიყვანე ყარანგოზიშვილიან. მაგრამ ყარანგოზიშვილი მალე გადგა იმ სახლიდან; სანდროს-კი სად ჰქონდა შეძლება თეთი ფული ქარა, მაშინ მოუხერხებია ბინა „დროების“ რედაქტორში, რომელიც იმ დროს იყო რუსთაველის პრესბუტზე, მუხრან-ბატონის სახლებში (შემდეგ მონთაშვეისა). ოთახი პაწია იყო, მაგრამ რა გავეწყოლია. იმ აქედან იწყობა მისი გამომცემელი ლიტერატურული მუშაობა.

1880 წ. დაიბეჭდა „მოხევევი და მათი ცხოვრება“.

1881 წლის ივნისის 18-დან დაიწყო ბეჭედა „ელგუჯასი“ „დროებაში“. ივნისში დაიბეჭდა რვა ფელეტონი; 18 ივლისიდან სტატემაზმად ბეჭედა შესწავლა, ვინა-

იდან სანდრო ქართულ დასთან, როგორც მსახიობი, წასულიყო საგასტროლოდ. ენკენისთვიდან განგარბო ბეჭედა და წლის დამკვრელად დაიბეჭდა თერამეტი ფელეტონი.

1882 წ. დაიწყო ბეჭედა „დროებაში“ „მამის მკვლელი“ ს. ინაგის ათიდან მამის გასულამდე დაიბეჭდა ოცდაორი ფელეტონი. მაისიდან ენკენისთვიმდე შესწავრება, ვინაზდან ისევ საგასტროლოდ წავიდა. ენკენისთვიდან კვლავ შეუდგა წერას და წლის გასულამდე დაიბეჭდა ოცდასამი ფელეტონი. ამ წელშივე დაიბეჭდა მისი წერალი მოთხრობები: „ჩინოვანი ელტორი“ № 238, 239, „ელტორი“ № 248, 250, 252, „მწყემსის მოგონება“ № 268, 271 „ციცკა, ფატი, სენა, და ერთი საწყუხარო შემთხვევა“ (ქუთისილია).

სად და როგორ სწერდა სანდრო ყაზბეგი. სანდრო სწერდა შიგ „დროების“ რედაქტორში, მთელი რედაქციის შემაგვრლობის წინაშე. იყვნენ ხოლმე თითქმის მუდამ: თეთი სერგო მესხი და მისი მეუღლე კაკე (ჩემი, დედა), აკაკი, პ. ურიაშვილი, ასეოც ცვაკარელი, პოტი სოსიკო ბაქრაძე, თუმანიშვილი, ა. ლულაძე, მე და კიდევ სხვებიც. სწორედ იმდროს როცა აკაკი კიბოხლად და ხოლმე თავის მოსწრებულ, მახვლს ფელეტონებს, მსმენელნი მზიარულბენდნენ, იმ დროს სანდრო ყაზბეგი წაქუხული იჯდა, წინ ეწყო „ელგუჯასი“, ან „მამის მკვლელის“ წინა ფელეტონები, გაგძელებას სწერდა ხოლმე და იქვე გადასცემდა ს. მესხს. ამ მუშაობის შემდეგ მთელი რედაქციის შემადგენლობა სანდროთი მივიდიოდით ალექსანდრეს ბაღში და შეინდგის პავლიონში.

ამიტომ, ჩემის ღრმა რწმენით, ის აზრი ზანდუელისა, ვითომ სანდრო ჩვენს ჩუმად სწერდა დიმი. ყაზბეგის ზღნაწერებიდან, სრული ცილისწამებაა. დღეს, საწყუხაროდ, „დროებას“ რედაქციის ძველი შემადგენლობიდან დაფრთხილ და ჩემი და კაკე, ს. მესხის მეუღლე, ჩვენ ვართ მოწმენი, რომ სანდრო ჩვენთან სწერდა „ელგუჯასი, მამის მკვლელს“ და სხვა მოთხრობებსა, რომ აღ. ყაზბეგს არა ვითარივე სხვა წაწერები თავისი, ანუ სხვისა წინ არ ეწყო; ჩემ, როგორც ცხატვი ეწყო ხოლმე წინანდელი ფელეტონები. ვიმეორებ, იმ ნაწერების გარდა, რომელიც მე ყუთში ჩავალავე სხვა იმის ზღნაზე არა მოთხრობებზე რა.

შექსპირზედაც ამბობდნენ, რომ მას არ შეეძლო იმისთან დიდებულ ღრმა რწმენიდან შექმნა, ვინაიდან იგი არ იყო ვითომ განვითარებული, ცუდს ცხოვრებას ატარებდა, ყველა მისი ნაწერები თანამედროვე ფილოსოფიის ბეკონს ეკუთვნისო, მაგრამ ტყუილი აღმოჩნდა. ჩვენ რუსთაველზედაც სიტყვა იყავნ ჯაბადარმა, პროფ. ნ. მარბის მიხედვით, რომ „ვეფხისტ ტყაოსანი“ რუსთაველს გადმოქართულებული აქვს სპარსული ამბიდანაო, მაგრამ ვერაფრით ვერ დაასაბუთებს. მასისეს, როცა იგი, ჯაბადარის აზრი წაიკითხა მოხუცმა პ. მელიქშვილიძემ, რომელიც სპარსულია დიდხანს იყო რუსეთის წარმომადგენლად, გაიკვირა. იგი დაახლოებით იცნობდა სპარსულ ლიტერატურას, საუბრობდად იცოდა სპარსული. ის მწერალი, მოთხრა მან, ეისაგანაც ვითომ შოთა რუსთაველმა ისარგებლა, ცხოვრობდა მეფისმეტე საუენუნში და აქამ. და შიხინ-შასა, რუსთაველის „ვეფხისტ ტყაოსანი“ კი დაიწერა მეთორმეტე საუენუნში.

დავანებთ ამას თავი. საკმე იმაშია, რომ დიმი,

ყაზბეგს ჰყავდა ძალიან გავგებული ძმები და დები, მგ. გიორგი, ფილო, ვანო, ლიზა, ოლა, ელენე; თუ ეჭვი იყო, რომ ის მოთხრობები იყო დიმიტრი ყაზბეგისა, რატომ ერთხელ ერთი მათგანი მიანც არ მივიდა რედაქციაში და არ განაცხადა, რომ ეგ ნაწერები სანდროსი კი არაა, არაბელ დიმიტრისა. მე ფილო ყაზბეგთან ძალიან დაახლოვე-ნიყვე ვიყავ, ხშირად დავიარებოდი სანდორად, ლაპარაკი ბევრჯელ ჩამოგვარდნია სანდროზე, მაგრამ არა ერთი იმ ეჭვი ფილო ყაზბეგს, დიმიტრის ძმას, არ გამოუთქვამს.

მე ლიზა ყაზბეგთან მქონდა ამ საგანზედ ლაპარაკი, იმან გამოსთქვა აზრი, რომ სანდროსი არ შეეძლო იმისთანა მოთხრობების წერა, რომ იგი დიმიტრისაა, სწორედ ისეთი აზრი გამოსთქვა, რაც დღეს მის. ზანდუკელმა, მე უპასუხე, ეგ შენი ეჭვი „დროების“ რედაქციას რომ გაუშვია, სიკვდილ არ ეყოფათ-მეთქი. ძალიან გამიწყრა ლიზა ყაზბეგი და ერთ წელშიადას უძარბათ მადგა. ლიზა ყაზბეგი რომ მართლა დარწმუნებულიყო კოფთიოყ თავის ნათქვამში, იგი ისეთი ადამიანი იყო რომ, მთელს ქვეყანას

გადააბრუნებდა და ააყაყანებდა, არა თუ მარტო „დროების“ რედაქციას.

მოწმად მომყავს კიდევ ძველი ასოთ-ამწყობი ზაქარია რუსიშვილი, რომელიც ცხოვრობს სოლოლაკში. აი ამინაც იცის, როგორ სწერდა და მუშაობდა სანდრო ყაზბეგი, ერთხელ თურმე ასოთ-ამწყობებმა უთხრეს: სანდრო ელგუჯა მალე მოკალდა, ერთი ვაჟაკობა კიდევ ჩააღწინო. თხოვნა შევიტყულო და მთელი ახალი ფელეტონები მოგვცაო. მაგრამ ზანდუკელი რომ ამბობს: გადაქცილი სხვა არის და ხელთნაწერში სხვაო, რუსი-შვილი ამბობს, ერთხელ მთელი აწყობილი სვეტი ჩემთან წამალა, ახლად დასწერა და მე ხელმეორედ ავაწყე. ხშირათ, რომ შვეი სხვაა, თუთრად გადაწერილი კი სულ სხვაა. გადაწერის დროს მწერალი ასწორებს სტილს, აშალაშინებს, უმატებს, ასე რომ ხელნაწერში და დაბეჭდილში განსხვავება ხდება. ეს კი არ ნიშნავს იმას, რომ სხვა და სხვა მწერლობაა.

სოხიკო მელიქიშვილი.

ს ა ნ ა ტ ო ლ უ რ ა ნ ს ი

დაბადებიდან 80 წლის უმარსულბის ბაიო.

ცოცხალთა შორის მას ვერვინ
სჯობნის; იგი კალმის ბატონია.

გეორგ ბრანდესი.

ჩემოვი ამბობდა: ბოლოს და ბოლოს მწერლისთვის ერთი ამოცანა შეადგენს ყველაფერს—ეს „მაგრამ“-ის გა-დალაზება. ხშირად კითხულობ და ხედავ: მხატვრულია, მაგრამ არც კუთა და არც კეთილშობილება შიგ არაა, ან კეთილშობილებითაა საესე, მაგრამ მხატვრობას და კუთას მოკლებულია... და ასე მრავალ ვარიაციებში.

როდესაც ჩვეუფიქრდები ანატოლ ფრანსის ჯადოქარ ძალას, მასწენდება ესთეტიკა. მართლაც შეუძლებელია, რომ გამოიძვინოს ვინმე, ვინც უარჰყვის მისი „კუთა, მხატვრობა და კეთილშობილება.“

მაგრამ ფრანსის მიმართ—ეს ცოტაა. თუ დღეს სა-ყოველთაო გადაიქცა აზრი იმის შესახებ, რომ ყველაზე დიდი მხატვრული გენიოსი ევროპაში არის ტოლსტოი და ყველაზე ჭკვიანი მწერალი ფრანსი, მაშინ ცოტა იქნება მარტო იმის თქმა, რომ იგი ჭკვიანად სწერს. თუ სტილის დახვეწის და სილამაზის მხრივ ფრანსი არა ჰყავს მეტოქე დღევანდელ მსოფლიოში, მაშინ ცოტაა იმისი თქმა, რომ იგი მხატვრულად სწერს. და თუ დღეს რო-დესაც თავის 80 წლის სიმაღლიდან, ფრანსი არ სჭირდებ-და ფრაზეები და ჰოზა, იგი თავის მსოფლიო სახელს უფრ-თებს ისეთ სმოფლიოს შემქნელთა სახელებს, სადაც არაა ტერჯავა და სილატაკი—მას ვერ ვეტყვი თუარს მალა-კეთილშობილებამაია.

ამიტომაც რომ ჩვენ სრული უფლება გვაქვს ესთეტიკით: ფრანსი თავის შემოქმედებაში არის კუთას, სილამაზის და ადამიანობის მწვერვალი.

წიგნის ფანატიკოსი, ანატოლ ფრანსი დაიბადა წიგ-ნებს შორის—მაშ მისი ბუკინისტის იყო. ის მოკრძალებ,

რომლითაც იგი მთელ თავის სიცოცხლეში ეკიდება წიგ-ნებს, შეზრდილი აქვს მას სიყრდილან. იგი საშუალოდ დაუმეგობრდა იმ ძველ წიგნების გამოცემებს, თავის ყუთებში ბანაკად რომ გაშლილან სენის საძაპრები. მე-რტად ურეგული სილამაზითაა საესე ფრანსის იშვიათ წიგ-ნებისადმი ტრიალი. ამ თითქმის რელიგიურ მოკრძა-ლში სილამაზის, აზრის და გარდასულ ცხოვრების სა-ჭურჭლის წინაშე—ამ ტრფიალში არის უდიდესი სიმა-ღლე: რომელსაც ფლონს ადამიანი.

როდესაც ჩვენ გავიგებთ, რომ თავის პირველ ყმა-წილობაში ფრანსი ჩვეულებრივ თამაშით ვართობის მა-გიერ, გატაცებული იყო ძველ თავისებურათ დასურათე-ბულ წიგნთა გადაფურცვლით, ჩვენ აღარ გავიკვირდებ, თუ იგი 15 წლისა გამოისცემს თავის პირველ თხზულებას „ლეონდის წინადა რადეგონდაზე“ (1856). გამოცემულ ლემურისათვის იგი რედაქტორობდა ძველ პარნასის ლი-რიკოსებს, რომლითა გავლენის ქვეშ მან დასწერა თავის ლექსთა პირველი წიგნები—„ოქროს პოემები“ (1873 წ.) და „კორინთული ქორწილი“ (1876 წ.).

ამათ მოჰყვა მისი პირველი რომანი „იოკოსტა“ და მოთხრობები (1879 წ.) ეს პროზაული ნაწარმოები გერ არც თემში და არც ფორმით არ ირჩევან, თუმცა მათში უკვე ძალი კვალი იმ სტილისა, რომელმაც შემდეგში ესო-დენი ძალა მისცა ფრანსს.

1881 წელს ფრანსი სემეს წიგნს, რომელმაც საერ-თო ყურადღება მიიპყრო მისკენ და დააჯილდოვა იგი საფრანგეთის აკადემიის დაფნის გვირგვინით. მის რო-ნანში „სილესტრ ბონარის ბოროტმოქმედება“ პირვე-ლად იჩინა თავი ფრანსის მომავალ ნაწერების ძირითად-


მა სულმა—აზრის ზეგმა შემოკმედებამ, საერთო განწყობილების ღრმა ადამიანობამ, ფრაზის სილამაზემ და ხელოვნების ფანატიურმა კულტმა. მკითხველი აქ მეცნიერ სილვესტრ ბონარის ამამალებელ დღეთა და გრძნობათა ატმოსფეროში ცხოვრობს. ბონარი ანტიურ მოაზროვნეებს მოგვაგონებს, ვისი სულიერი კეთილშობილება რეალურ ქვეყნის ზემო არსებას ეჯახება. ბონარი თითქმის წინამორბედი ხდებოდა მსოფლიო ლიტერატურის უდიდეს ფიგურის—მერკერისს.

ფრანსის შემდეგი წიგნები: „ერთ სერვიენის სურვილები“ (1882 წ.); აბელი (1883 წ.); „ჩემი მეგობრის წიგნი“ (1885 წ. ავტორის ცხოვრებიდან); „ჩვენი ბავშვები“ (1886 წ.—თუმცა თემით არ არიან შესანიშნავი, მაგრამ მათ მიუყავთ ფრანსის სტილი უღრმეს დახვეწამდე. ეს პატარა ნაწარმოებები იძლევიან იმ საკვირველ ფორმას პროზისას, რომელიც სრულიად განცალკევებული სტავს ფრანგულ ლიტერატურის ესოდენ მდიდარ სიტყვიერ ხე-

გვაძლევს მხატვრულ მოვლენათა მიერ მასში გამოწვეულ საკუთარ გამოძახილს. ამ წერილში ადგილი აქვს მოგონებებს პირადი ცხოვრებიდან, სხვა და სხვა დროის ხელოვნების მონათესავე მოვლენების გადმოცემას, მოთხრობას ისეთ ფაქტებისას, რომელთაც თითქმის შორეული დამოკიდებულება აქვთ წერილების შინაარსთან. ისინი თავისუფალია სისტემისა და დაწესებულ ფორმისაგან. მაგრამ ის საერთო სულიერი შედეგი, რომელსაც იღებს მკითხველი ამ კრიტიკულ კომპოზიციებისაგან იმდენად უხვია, ახალი და გამსჭვირაველი, რომ ფრანსის კრიტიკულ ნაწარმოებთა საიპოვრეზაციო ხასიათმა დააწესეს მხატვრულ გამოკვლევათა ახალი ნიმუში. შემდეგში ეს კრიტიკული გამოძახილი მან შეკრიბა თავის „ლიტერატურულ“ ცხოვრების (1889—92 წ.) ოთხ ტომში.

ფრანსს ბავშვობიდან უყვარდა კაცობრიობის წარსული. შემდეგში იგი სულშიაღრმად ცხოვრობდა ისტორიით

ძველი ტფილისი



თათრის მოედანი

ნახ. ა. ჭუთათელაძის

ლოვნების დარგში. ვილასას სწორ შენიშვნით, ფრანსის სტილი აქ იმ ძვირფას ფაიფურის მზგავსია, რომლის სილამაზე მხატვრის საიდუმლოს შეადგენს. ჩამოსხმულ ნაწარმოებს შეუძლია სრულიად ასეთივე ფორმა გადმოგვცეს, მაგრამ ტეშმარტი მცოდნე საგნისა ნივთის შეხედვისთანავე იტყვის, რომ იგი განსხვავებულ მასალიდანაა. სწორედ ამ პერიოდში სთქვა ფრანსმა: „მეცნიერის ლექსი უფრო ძვირფასი მიძღვნა ქვეყნისათვის ვიდრე მეტალურგიის ყველა გამოგონება“—ო. მაგრამ ფრანსის შემოქმედების ბედი სხვა თავისებებსაც უქადა მომავალში: უფრო გვიან, როგორც ჩვენ ამას მალე დავინახავთ, იგი უფრო ფართო შეიქმნა.

1885 წლიდან ფრანსი, ჯიულ კლარეტის მაგიერ, სწერს ლიტერატურულ—კრიტიკულ წერილებს. მათში მოხსიანს მისი აზროვნების თავისებურობა, „რომელიც თანდათან სულიერ თავისებურებად გადაიქცევა. მიჰყვება რა თავის რწმენას, რომ კრიტიკოსი ბოლოს და ბოლოს ყოველთვის სწერს თავისას სხვისი შემოქმედების გამო, რომ კრიტიკული ობიექტივში ილიუზიაა, ფრანსი აქ

მისგან რჩიულ შესანიშნავ ეპოქებში. ერთდროს იგი ისტორიკოსობისათვის ემზადებოდა. მაგრამ მალე იგი რწმუნდება, რომ მისი სული ვერ ეტყება ფორმალურ დისკოპლინაში, ისე როგორც კრიტიკის მიმართ; ეხლა ისტორიის მიმართაც მან თავისი საკუთარი პოზიცია დაიკავა. ისტორიის ფორმალურ ცოდნას მან ამაჯობინა მისი გარკვევა მხატვრულ იდეოლოგიური გზით. ერთ ალავას ფრანსი ამბობს განთქმულ მეცნიერის შესახებ: „მან სერიოზულ გამოკვლევაში აღწერა ეგვიპტურ სარკის ხელი და არც ერთხელ არ დამდაბლა დიპლომის, რომ საერთო დასკვნები მოეცაო“. მეცნიერისთვის ეს უდიდესი ქება იქნებოდა. ფრანსის თქმით კი—იოანია.

ისტორიის შემეცნების გზა, რომელიც მოაქვს ფრანსს აზრის გზა ფართო მეცნიერულ—მხატვრულ სინტეზისა, გამოხატვის უმოთხრეს საშუალებათა ღრმა ცოდნით შეიარაღებული. მისგან შექმნილ სახეებში მან მოგვცა მთლიან ეპოქათა სინტეტიური შემეცნება. მეტად რთული და სულიერი გზით მომქმედის ეს სახეები ვაკილებით უფრო სრულწარმოდგენას გვაძლევენ. გარდასულ ეპოქებზე, ვიდრე პრო-

ფესიონალური გამოცეკვნი. ასეთები საბერძნეთის და რომის სამეფოში „თეთრი ქვაზე“, ადრინდელ ქრისტიანობის სახეში „თაისში“ და „წმ. კლარას წყაროში“, სახეები „პონტიოს პოლატეში“, ეგრემ კუანიარ ანკეტელის სახე, სახეები „მდრითთა წყურვილში“ და მრავალი სხვები. განიკდიდა რა სიყრმოდან ძეგლ რომაულ ბერძნულ სიძაჟოს ისე, როგორც თავის სფეროს, ფრანსი გადმოიტანს თავის შემოქმედებაში იმ უკვადებებს, რომლითაც მოკუ-ლია ქვეყნები და საუკუნოები სილამაზით და სილიადით 1889 წლიდან იგი ეფუძნება ამ წარსულში, რომ მო-გვეს „ბალტაზარს“ (1889 წ.); „თაის“ (1890 წ.), „კლიო“ (1890 წ.); „ეგრემ კუანიარ“ (1893 წ.); „ედოფალი პე-ლოკი“ (1893 წ.) და სხვ.

ეს ისტორიული სურათები და სახეები შეუდარებელად გადმოცემულია ეპოქათა სულის და ენის სიხივით. მაგრამ მათი ზრებულება არ ამოიწურება მარტო მხატვრული თვალსაზრისით ისინი წარმოადგენენ მას, რაც მხოლოდ პირადად ფრანს ეკუთვნის.

არის განსაკუთრებული რიგი ირონიისა. ეს არის ის თანამედროვე კონდა სავნისა, რომელიც ნების იძლევა ბრწყინვალედ გამოაყარავს მოვლენის ყველა მხარე ხან ერთის თვალსაზრისით და ხან მეორით. — ასეთია ფრანსის ისტორიული ირონია. იგი ძლიერა სწისა და ზნერად მას გაიგებთ მთელი წიგნის წაკითხვის შემდეგ. ავტორისათვის სრულიად უცხო სახეებათ გარდაქმნა იმდენად დი-ლია, შესაძლოა რომ, მაგ., ქრისტიანულ მსოფლმხედველო-ბას მოკრძალებით შეითვისებს კათოლიკი — ბერი აფარ-ჟლის ლომილით მასმევე თავის აზრის დადასტურებას პო-ნებს ატეისტი.

ისტორიულ მოთხრობათა შორის არიან ისეთი შე-დევრები, რომელიც გაიცლებით მეტს შეტყუებულს, ვიდრე გამოცემულია ტომები: ასეთია, მაგ., „პონტიოს პი-ლატე“, სადაც რამოდენიმე გვერდზე გადაშლილია ქრის-ტიულ ლეგენდის ბუნებრივი ხასიათი პირველ საუკუნის რომაულ ცხოვრების კემშირტ სურათის ჭონზე... ან „ელთის მშობლის ტიკინი“ რომელიც არა ჩვეულებრივის სიმძაფრით იძლევა კემშირტ რწმენის მთელ სილამაზეს და ძალას.

მაგრამ ფრანსის მხატვრულ-ისტორიულ გადმოცემის ტიპში და მისი ირონიული სტიქის მწვერვალია, რა-საკერავალია, მისი „ედოფალი პელოკი“. აქ უმძაფრეს კუთხავებულობის სადოსტატკროდნის ქვეშ მოხვედნიან რელიგია, ხელისუფლება, ფილოსოფია და მეცნიერება. ეს ის წიგნია, სადაც ბრძენი ავტორი გულუკითხვით დასკი-ნის არა თუ მსოფლობს, თვით მკითხველსაც, მაგრამ მის და შემოწმებელად.

აქ, ეგრემ კუანიარის სახით, შექმნილია მე-18 საუ-კუნის დასაწყისის ქრისტიანულ მსოფლმხედველობის ხა-ტება. ესაა არა მარტო მეცნიერი განსახიერება საუკუნე-თა განვლილობაში უძლიერეს კათოლიკურ სულისა: კუანი-არი ადამიანის ჭკუის უსაზღვრო მოქნილობის დიდებული სახეა, ფილოსოფიურ გრაციით და განვითარებულ დია-ლექტიკით რომ არ იოგებს შეურთებელ გიგანტურ წინააღ-მდეგობას. ამ რიგად იგი სასტიკი სატრიაა არა მარტო მოპრწმენიების, თვით ადამიანის წინად აღებულ შემეც-ნებით შემოფარგულ აზროვნებისა.

რომანო ისეა დაწერილი თითქმის იგი მართლაც წი-

ნა საუკუნის ძველებური ხელნაწერია. მკითხველი ხედავს მასში პატარა ქუჩის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას, პა-ტარა აღმზიანებს, მათი ჭირ-ვარამით და ლაპარაკით. იგი ხედავს ცოცხალ ფიგურებში ჩამოსხმულ მეტად დამაბა-სიათებელ ხაზებს ეპოქისა — ბერს, რომელიც გულწრფელ რწმენით ცხოვრობს; მიკიტას, სატიფიორი ენით, მი-სი სტუმართა მიყვარე ხელნობით და ძველებურ ოჯახურ ადამით; ალბიკოსს, რომელიც ასახიერებს კაცობრიო-ბის მეცნიერების მთელ ეპოქას: აზნაურს, რომელიც ფეო-დალურ სულის მთავარ სახეს წარმოადგენს, ემსახურება თავის მეფეს და ამის გამო სტებება ცხოვრებით.

მხოლოდ აღებული „ედოფალი პელოკი“ არა თუ ერ-თი უმწვენიერესი წიგნია მსოფლიო ლიტერატურისა თა-ვის მთლიანობით და სიმწვენიერით, არამედ იგი იმევე დროს განსაკუთრებულად მძაფრე ჭკუის იარაღია, რომე-ლიც გავაყენებს ადამიანთა საზოგადოების საფუძვლის დაფარულ კიმიკურ მხარეს.

რომანი „წითელი ზამზახი“ (1894) მიძღვნილია ხე-ლოვნების იმ ელტისადმი, რომელიც ფრანსის უმთავ-რეს სულიერ ხაზს შეადგენს. — ერთიანთ ისაა ორი სა-ხით: მწერალი პოლ განსის სახით (რომელიც გამოყვანი-ლია მკითხველის მოსატყუებლად) და განსაკუთრებით კი, მოკანდაც დეშარტის სახით. ამ რომანში — ფლორენციის უთვალავ სიმდიდრეთა შორის მისი გმირებიც ცხოვრობენ პეპელათა სიკოცხლით, მწვენიერების ყვეაილეს რომ აცლიან სურნელებს. დრამა რომანის ბოლოში რომ გა-დასრულდება, სწორედ ეთანაბრება ავტორის ცხოვრების იმ პერიოდს, როდესაც ესთეტიზმი და ჭკუის თამაში მი-სათვის ყველაფერს შეადგენდნენ. ამ საორანგერო-საანანა-სო სტიქიას დაიწყებდნენ იხნის მხოლოდ შეუდარებელი ფორმა ფრანსისა.

ანტიურ ქვეყნის და ფართო სინტეზის სიყვარულმა შექმნეს „ეპიკურის ბალი“, სადაც ფრანსი ლაპარაკობს, მეტად მოულოდნელად, თავის სახელებს. ამ ფურცლებზეა ფრანსის ჭკუის თავისებურობა და დაუშვრეტლობა. აქ უხედაა გაზნული აზრები თაის გვარ სავნების შესახებ, თავის ფართო იერით და მოსწრებულ თქმით რომ გვიბო-ლავენ; აქაა ფრანსის ის სიბრძნე, რომელაც შეუქმნა მას „ევროპაში უკეთიანისს“ რეპუტაცია.

ეს რამოდენიმე ნაწყვეტი მისი აზრებისა:

„სიკლერი რომ ჩვენ სრულებით ვესპობს, ამას შე სრულებით არ ვედავები. ეს შესაძლებელია. მაგრამ სწო-რედ ამ შემთხვევაში არაა ის საშიშარი:

„მე როცა ვარსებობ — იგი არაა; იგი როცა მო-დის — მე აღარ ვარ.“ — ან „არ კონდა — უცილებელი პი-რობაა თუ ბედნიერებისთვის არა, არსებობისათვის მაინც ჩვენ რომ ყველაფერი ვიცოდეთ, ვერ ავიტანდით სიკო-ცხლეს ერთ საათსაც კი“.

რა ბედნიერებაა, რომ ფრანსი მოგვითხრო ჩვენ დღე-ებს, ის, რაც ეხლა იბადება რუსეთში — თითქმის იგივეა, რაც მან 1904 წელში თავიგახივს თავის წიგნში „თეთრი ქვაზე“. აზრები, კერძოში რომ მწიფდებოდა ისეთი ადა-მიანის თავში, როგორიცაა პრუდონი, მაქსი და ლენინი — მის თვალთა წინ სცვლიან ქვეყნას.

აი ეს ქვეყნის გარდამქნელი ძალაა მომწყვედელი ფრანსის 4 თანამედროვე რომანში. და შესაძლებელია, მათი გავლენა მასზე უფრო ძლიერია, რადგან იგი გა-ბეჭდილია მხატვრულ ტანისამეშო.

ასეთივე შედეგებია პატარა მოთხრობა „ქრენებილი“ (1903 წ.), ღირსია იმისი, რომ მილონობით გავრცელებულიყო საბჭოთა ქვეყნებში. ჩვენ არ შეგვიძლია დავახსენოთ არც ერთი თანამედროვე მოთხრობა, სადაც ასეთის მომავლებელის ძალით იყოს გაშთქცული მკვლე ქვეყნის უზნობა და ბოროტმოქმედება. სისადავე, საცხადე, თემის ყოველ-დღიურება—ვევლაფერი შეგვრთებდა ამ მოთხრობაში იმ დიდ ზეშარბის გამოსავარაზებლად, რომელშიც ცხოვრობს თანამედროვე ადამიანი.

„დრიფტის საქმე“ აიძულა ფრანსი აქტიურად გამოსულიყო საზოგადოებრივ მებრძოლის როლში. წინეთ, იგი აზრით და სიტყვით ანადგურებდა დაწესებულებებს, რომელნიც იყვნენ იარაღი ადამიანის დამცემისა, ეხლა იგი უშუალოდ დაეჯახა კანონს და მის წარმომადგენლებს, რომ თავისი მკვეთრი აზრის ძალა მიეცა კომპარტიის აღდგენისათვის.

დაწესებულებებთან ამ შეჯახებებმა მისცეს მას მასალა ისეთ შეუძარებელ სატრიალისთვის, როგორიცაა „პინგუინი კუნძული“ (1908 წ.), სადაც მოთხრობილია „მოხიბვებული მექანიკის“ შესახებ, თუ როგორ უნდა იფულოს ტრადიციების, ეკსპლესიის და ფულის საშუალებით, აქ ფუტაქს ფრანსის ცოცხალი სიმკვლელო „ქაღის მომხმელ სახელმწიფოსადმი“, რომელიც მან გამოიტანა საზოგადოებრივ ბრძოლიდან. აქ იგი ისეთ რევიოლუციონერ ძალის სახეზე ჰქვინს, რომ მისი ზემოთისებელი აზროვნება საბოლოოდ მომადგებელია ესოდნ აშკარად მხილველ ტრიალის კონკრეტულ დანერგვისათვის. ესატის და ეკსპლესის ხელისუფლებამ უთოოდ უნდა დასწყეს ფრანსის ეს ნაწერები.

1912 წ. ფრანსი სწერს რევიოლუციონერ რომანს „ღმერთის სწურობა“, სადაც სულ ახლო და ახლო მიიწევს ქვეყნის გარდაქმნის რეალურ პრობლემებისაკენ.

ყოველივეს დამატებუნად გონების საიდუმლოდ დაწერილია შედეგი წიგნი „ანგელოსთა ამბობება“, 1914 წ., შხამიანი, ბნელეთის სამეფოს ფანტასტიური სატორია, ამ წიგნის დასასრული გვევლინება, როგორც სულისტრეუმები, სადაც ლოყიფერები, ბრძოლის ყველა მოქნილ საშუალებებით შეიარაღებული, იძულებულია იარაღი დაჰყარონ იმ ძალის წინაშე, რომლის სახელია—გონების სინათლე. ჭკუა-მახვილობით, სიღრმით და სულიერ აღფრთოვანებით, შეიძლება, ეს ყველაზე ძლიერი წიგნი ფრანსის.

